# ახალი განათლება

2012 წელი, 23-29 თებერვალი

ფასი 1ლარი 30 თეთრი

№8 (562) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


## თოვდა და თბილისს ეხურა თალხი...







საბრძოლო ლაშქრობისთვის იუნკერები სასწავლებლის ეზოში დილის 11 საათზე და 30 წუთზე გამწკრივდნენ. სამხედრო ორკესტრმა საქართველოს ჰიმნი შეასრულა, რის შემდეგაც კურსანტებს სიტყვით სკოლის ხელმძღვანელმა გენერალმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა მიმართა: „ყმაწვილებო! ბედნიერი ვარ მოგილოცოთ, რომ საშუალება გეძლევათ თქვენი მოქმედებით დაადასტუროთ თქვენი სურვილი სამშობლოს სამსახურისა. მე, თქვენ მასწავლებელს და უფროსს ეჭვი არ მეპარება, რომ ზუსტად შეასრულებთ მხედრულ მოვალეობას და პირნათლად წასდგებით ქართული ისტორიის სამსჯავროს წინაშე. არ დაივიწყოთ ველად ყოფნისას, რომ ყოველ თქვენს ნაბიჯს მოწმედ ეყოლება იგივე ცა, მიწა და ბუნება, რომელიც არაერთხელ გაკვირვებულა ქართველთა გმირობით და უდრეკლობით სიკვდილის წინაშე. გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, გაუმარჯოს საქართველოს და ქართულ ჯარს ვაშა!“.

იუნკერებს ფრონტზე მთელი ქალაქი აცილებდა. კურსანტები ხალხის მასას ძლივს მიარღვევდნენ. ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველა გარეთ გამოსულიყო. მოქალაქეები მებრძოლებს ხილს, თუთუნს, ნამცხვარს და ტკბილეულს აწვდიდნენ. სკოლის კოლონას ცხენით ანდრონიკაშვილი და სასწავლებლის ოფიცრები მიუძღოდნენ. შემდეგ მოდიოდნენ ქვეითები, არტილერისტები და ცხენოსნები. მწკრივს სულ ბოლოს უნტერ-ოფიცერთა ახალწვეული ბატალიონი მიყვებოდა.



ქუთაისის უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში ერთადერთი კერძო ავტორიზებული და აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ატარებს უნივერსიტეტის სტატუსს და ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ პროგრამებს.

უნივერსიტეტის წარმატებული წინსვლა ლოგიკური გაგრძელებაა მისი დამფუძნებლების – ბატონ **ვალერიან ქელბაქიანისა** და ბატონ **რევაზ ლალიძის** მიერ წლების წინ დაწყებული საქმისა. რომ არა ამ ორი განათლებული და ერუდირებული ადამიანის მიერ შექმნილი და დატოვებული მყარი საძირკველი, ალბათ ქუთაისის უნივერსიტეტი ვერ იქნებოდა ისეთი ძლიერი და თვითმყოფადი, როგორიც დღესაა.

ქუთაისის უნივერსიტეტს წელს დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. უნივერსიტეტმა ამ მოკრძალებულ საიუბილეო თარიღს კულტურული, სპორტული და სამეცნიერო ღონისძიებებით დატვირთული სპეციალური კვირეული მიუძღვნა.

კვირეული საზეიმოდ გაიხსნა ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრში. იყო უამრავი მო-



# შენი წარმატება იწყება აქ!

ლოცვა, კეთილი სურვილები. განსაკუთრებით საამაყოა ამ დღეს ქალაქის მერის – **გიორგი თევდორაძის** მიერ ჩვენი მისამართით ნათქვამი სიტყვები: „ის, რაც ქუთაისის უნივერსიტეტმა ოცი წლის მანძილზე ბევრი წინააღმდეგობისა და ბარიერის მიუხედავად შეძლო, უმნიშვნელოვანესი საქმეა არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის..., სწორედ ამიტომ, როგორც ქუთაისის ღირსეულ შემოქმედს, როგორც ქუთაისის დამამშვენებელს და საიმედო, ერთგულ პარტნიორს ყველა საქმეში, ქალაქის მერია საპატიო უნივერსიტეტის წოდებას ანიჭებს".

ამავე დღეს, უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა **ლელა ქელბაქიანმა** 2010-2011 წლის კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა დიპლომები, პირველად შესრულდა უნივერსიტეტის ჰიმნი, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის დაიწერა და რომელსაც ბევრისთვის ნაცნობი და საყვარელი მომღერალი ანრი ჯოხაძე ასრულებს.

კვირეულის დღეებში გაიხსნა ქუთაისის უნივერსიტეტის მუზეუმი, მოეწყო თანამშრომელთა და სტუდენტთა თვითშემოქმედებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-დათვალიერება, ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია.

უნივერსიტეტში სტუმრობისას თავიანთ შთაბეჭდილებებსა და კმაყოფილებას ვერ ფარავენ იქ მოსული სტუმრები:

**ლაშა მაქაცარია** (იმერეთის გუბერნატორი): „ქუთაისის უნივერსიტეტი ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტია, რომელმაც სერიოზული სამუშაოები ჩაატარა ყველა მიმართულებით. ეს ეხება მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას და სასწავლო პროცესს. მინდა ჩემი მხარდაჭერა და თანადგომა გამოვუცხადო მას!"

დაუღალავი შრომა, მუდმივად სიახლეების ძიება, მაღალი პროფესიონალიზმი – ქუთაისის უნივერსიტეტის დამახასიათებელი თვისებებია, რაც კიდევ უფრო გვმატებს სითამამეს იმისათვის, რომ ხმამაღლა განვუცხადოთ ყველა აბიტურიენტს – *„შენი წარმატება იწყება აქ!"*.

**მისამართი: ქუთაისი. წერეთლის ქ. №13 ვებგვერდი: www.unik.edu.ge**

# მოვემზადოთ გამოსაშვები გამოცდებისთვის

წიგნები განკუთვნილია საქართველოს სკოლების გამოსაშვები კლასების მოსწავლეთათვის და არსებითად დაეხმარება მათ, წარმატებით დაძლიონ საგამოცდო მოთხოვნები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში.

წიგნები გამოსაშვები გამოცდების სახელმწიფო სტანდარტებთან ერთად შეიცავს: სტანდარტის შესაბამისად (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წ. ნოემბერში გამოქვეყნებული დამატებითი პროგრამული მასალების გათვალისწინებით) თეორიულ მასალას,ზოგიერთი ამოცანის დეტალური ამოხსნითა და ანალიზით, თეორიული საკითხების უკეთ გაგებისა და ამოცანის/ტესტის ამოხსნის მეთოდიკის დაუფლების მიზნით. თეორიული მასალა მოსწავლეებს დაეხმარება, დაზოგონ დრო, რომელიც დასჭირდებოდათ მათ სხვადასხვა კლასის და ავტორთა სახელმძღვანელოში განთავსებული თეორიული მასალისა და ტესტების მოძიებისათვის.




300 ტესტი და ამოცანა პასუხებითა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დეტალური ამოხსნით ან მითითებით; 50 საკონტროლო ტესტი თვითშეფასებისთვის.




400-ზე მეტი ტესტი და ამოცანა პასუხებითა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დეტალური ამოხსნით ან მითითებით; 60 საკონტროლო ტესტი თვითშეფასებისთვის.




300 ტესტი და ამოცანა პასუხებით, 50 საკონტროლო ტესტი თვითშეფასებისთვის.

# მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

ფასი 10 ლარი




ფასი 10 ლარი




ფასი 5 ლარი




**წიგნები გამოსცა გამომცემლობა „უსტარმა"**

**შეძენა შეგიძლიათ**

თბილისი: სადისტრიბუციო კომპანიის NGM გროუპის ოფისში, წინამძღვრიშვილის 119, ტელ: 296 40 81; 790 96 40 82;

აგრეთვე: თბილისის, ბათუმის, თელავის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში

# სიახლე!




ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი




საქართველოს ისტორიული ატლასი

ერთი ცალის ფასი 5,70 ლარი

## კლასიკური პოეზია

ელფის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში – ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელფის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჩვენებინა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

სამი ტომის ფასი 21 ლარი




www.elf.ge

ელფის გამომცემლობა

## თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

## თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით აღმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

## რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
10. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
11. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
12. საქანელა - რენუარი
13. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

**სასერტიფიკაციო გამოცდები**

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



### დიმიტრი უზნაძე (1886-1950)

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და „განწყობის თეორიის" ავტორია. მან ჩაუყარა საფუძველი საქართველოში ბავშვის ფსიქოლოგიის მეცნიერულ კვლევას. მისი თეორიის მიხედვით, ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ქცევის ფორმა ანიჭებს ყოველ ასაკობრივ საფეხურს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გარკვეულ ელფერს.

ქცევა აქტივობაა და ნიშნავს სუბიექტის გარემოსთან, გარე სინამდვილესთან ურთიერთობას. ქცევა განისაზღვრება მოთხოვნილებით და იმ საგნით, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მაგრამ საგანი უშუალოდ როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის აქტს. უზნაძე ქცევის პროცესს ასე აღწერს: ცოცხალი ორგანიზმი გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიმართავს გარე საგნობრივ სინამდვილეს, გარემო უშუალოდ მოქმედებს მასზე და იმ საგნის შესატყვისი მოქმედებისკენ განაწყობს, რომელმაც ეს მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს.

უზნაძე ქცევის ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფს, ესენია: **ექსტეროგენური ქცევა** და **ინტროგენური ქცევა**.

**ექსტეროგენურია ქცევა**, როდესაც ის იმპულსს იღებს გარედან (საგნისგან) და წარიმართება გარედან განსაზღვრული განწყობით. მაგრამ როდესაც ორგანიზმს არა აქვს რაიმე საგნობრივი, პრაქტიკული მოთხოვნილება, ის პასიურ, უმოქმედო მდგომარეობაში კი არ არის, არამედ მას თავად **აქტივობის,** მოქმედების მოთხოვნილებაც აქვს. მოთხოვნილებას, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება მაშინ, როდესაც მისი ძალები უმოქმედოდ რჩება და ის აღარაა იძულებული გარკვეული პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამოქმედდეს, უზნაძე **ფუნქციონალურ ტენდენციას** უწოდებს. ამ შემთხვევაში ქცევა (აქტივობა) გარედან კი არ არის განსაზღვრული, არამედ შინაგანი იმპულსიდან გამომდინარეობს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც გარკვეული სახით სუბიექტის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს ქცევა თავისუფალია გარე იძულებისგან, ის ორგანიზმის შიგნიდან წარმოიშობა, ამიტომ მას უზნაძე **ინტროგენურ ქცევას** უწოდებს.

უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით:

| **ექსტეროგენური ქცევის** ფორმებია: | **ინტროგენური ქცევის** ფორმებია: |
|---|---|
| მოხმარება | ესთეტური ტკბობა |
| მომსახურება | ხელოვნება, შემოქმედება |
| შრომა | თამაში |
| საქმე | სპორტი |

**თამაშს** უზნაძე მიიჩნევს ბავშვის ქცევის სპეციფიკურ ფორმად. ადრეული ბავშვობის ასაკში თამაშის გარდა ქცევის სხვა ფორმები, განსაკუთრებით ექსტეროგენური, ან საერთოდ არ შეინიშნება, ან ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა თამაში დამახასიათებელია არა მხოლოდ ადრეული ბავშვობის ან სკოლამდელი ასაკისათვის, არამედ სასკოლო (8-10 წლის) და მოზრდილი ასაკისთვისაც. თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს **ფუნქციის სიამოვნება,** ანუ თამაშის ძირითადი მოტივი ბავშვისთვის არის თვითაქტივობისგან სიამოვნების მიღება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სწავლა**, როგორც ქცევის ფორმა.

უზნაძე მიიჩნევს, რომ ქცევის ფორმები ადამიანის ცხოვრებაში ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია ესა თუ ის კონკრეტული ქცევა რომელიმე აღნიშნულ ფორმას მიაკუთვნო. სწორედ ასეთი ქცევის ფორმაა **სწავლა**. თუ ჩავთვლით, რომ სწავლა შრომის, კერძოდ კი, გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ ის ქცევის ექსტეროგენური ფორმა უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არაა. იმისათვის, რომ ვნახოთ, არის თუ არა მსგავსებასთან ერთად განსხვავებაც სწავლასა და შრომას შორის, ერთმანეთს უნდა შევადაროთ ამ ორი ქცევის პროდუქტი. როდესაც შრომასთან გვაქვს საქმე, მხედველობაში ყოველთვის ის გარკვეული პროდუქტი გვაქვს, რომლის შესაქმნელადაც შრომითი ენერგია დავხარჯეთ. შრომის ცნება, გარდა ამ პროდუქტის შექმნისა, არანაირი სხვა ეფექტის მოცემას არ გულისხმობს. რაც შეეხება სწავლას, აქ საქმე სულ სხვაგვარადაა. მაგალითად, ბავშვს ვასწავლით წერას. მან უკვე ისწავლა ასოების წერა, შემდეგ ორი სიტყვის დაწერა შეძლო. ამ პროცესში ის სწავლობს არა მხოლოდ იმ კონკრეტული ასოების ან სიტყვების წერას, არამედ იძენს თავისი კუნთების განსაზღვრული მიმართულებით აქტიურად ამოქმედების უნარს, რაც ეხმარება სხვა ასოების, სხვა სიტყვების ადვილად დაწერაში. ამიტომაა, რომ აღარ არის აუცილებელი ბავშვს ვასწავლოთ სათითაოდ ყველა სიტყვის დაწერა. წერა-კითხვის მცოდნეს თავისუფლად შეუძლია ისეთი სიტყვის დაწერაც, რომელიც არათუ არასოდეს დაუწერია, არამედ არც არასდროს გაუგია.

სწავლის ცნება ძალიან ფართოა. არ არსებობს არც ერთი ექსტეროგენური ქცევის ფორმა, რომლის სწავლის საგნად გადაქცევაც არ შეიძლება. უზნაძე ამას სწავლის გენერალურ ხასიათს უწოდებს და იმით ხსნის, რომ სწავლის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ჩვევების, უნარებისა და ცოდნის შეძენა, რომელთაც ამ დროს ბავშვი იღებს, არამედ მოზარდის ძალების განვითარება განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ ამ თვისებით ჰგავს სწავლა თამაშს, ანუ მოზარდის ძალთა განვითარება ისეთივე სპეციფიკურია სწავლისთვის, როგორც თამაშისათვის. თამაშიც, თავის მხრივ, ქცევის ისეთივე გენერალური ფორმაა, როგორიც სწავლა. აქედან თითქოს უნდა გამომდინარეობდეს დასკვნა, რომ თამაში და სწავლა ქცევის ერთსა და იმავე ფორმას წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე არ არის. თამაშის დროს ქცევის იმპულსი *ფუნქციონალური ტენდენციაა*, ანუ ამ ასაკის ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტიანი იქნება, თუ თამაშს გამოვიყენებთ, ანუ თუ სწავლა წარიმართება თამაშით.

როდესაც სწავლის შესახებ ვსაუბრობთ, ძნელია იმის თქმა, რომ ქცევის იმპულსი აქაც *ფუნქციონალური ტენდენციაა*. სწავლა ყოველთვის გულისხმობს იმას, რაც ისწავლება, ანუ მოსწავლეს ვაწვდით საგანს გარედან, გარედან ავამოქმედებთ მის ძალებს, ე. ი. სწავლა, როგორც ქცევა იგება გარედან იმპულსზე. როდესაც ბავშვს გარკვეულ ასაკში მეტყველების ფუნქცია მოუმწიფდება, უჩნდება შინაგანი იმპულსი – მეტყველების ფუნქციის ამოქმედების ტენდენცია, მაგრამ თუ ჩვენ მას გარედან არ მივაწოდეთ გარკვეული ენობრივი მასალა, შეუძლებელია, დაკმაყოფილდეს მისი ფუნქციონალური ტენდენცია.

ამრიგად, სწავლა არის ქცევის სრულიად თავისებური ფორმა, რომელიც არ შეიძლება იყოს გაიგივებული თამაშთან, შრომასთან თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან. სწავლა შეიცავს როგორც ექსტეროგენური, ასევე ინტროგენური ქცევის ფორმების ელემენტებს და ამასთანავე განსხვავდება თითოეული მათგანისგან.

*გამოცდების ეროვნული ცენტრის*
*კვლევის დეპარტამენტი*

**მეთოდიკა**

# ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

***ვაგრძელებთ გენეტიკური ამოცანების ამოხსნას.***

**ამოცანა №3**

ცხვრებში მოკლე კიდურები რეცესიული (b) მუტაციის შედეგია, ასევე რეცესიული მუტაცია (d) იწვევს გრძელი ბალნის არსებობას. აღნიშნული გენების შესაბამისი დომინანტური ალელების არსებობა განაპირობებს ნორმალურ კიდურებს (B) და მოკლე ბალანს (D). გენები არ არის შეჭიდული.

დომინანტური ნიშან-თვისებების მქონე ცხვრების შეჯვარებით მიიღეს 604 ბატკანი. მათგან 111 გრძელბალნიანი და ნორმალურკიდურებიანი იყო, 37 – გრძელბალნიანი მოკლე კიდურებით. რამდენ ბატკანს ექნება მოკლე ბალანი და რამდენი იქნება მათ შორის ნორმალური სიგრძის კიდურების მქონე? განსაზღვრეთ მშობლების და შთამომავლობის გენოტიპები.

**ამოხსნა:**

ვიპოვოთ გრძელბალნიანი ბატკნების რაოდენობა:

111 + 37 = 148

შესაბამისად, მოკლებალნიანი ბატკნების რაოდენობა იქნება:

604 - 148 = 456

იმისათვის, რომ დავადგინოთ, 456 მოკლებალნიან ბატკნებს შორის რამდენია ნორმალური სიგრძნის კიდურების მქონე, შევადგინოთ შეჯვარების სქემა:

პირობიდან გამომდინარე, მშობლიურ ფორმებს ფენოტიპურად დომინანტური ნიშან-თვისებები ჰქონდათ (მოკლე ბალანი და ნორმალური სიგრძის კიდურები). მათ შთამომავლობაში იყვნენ რეცესიული ნიშნების მქონე ინდივიდები. შედეგად ვასკვნით, რომ მშობლიურ ფორმებს BbDd გენოტიპი ჰქონდათ.

P: ♀ BbDd x ♂ BbDd

G: BD Bd bD bd BD Bd bD bd

F1

| ♂\♀ | BD | Bd | bD | bd |
|---|---|---|---|---|
| BD | BBDD | BBDd | BbDD | BbDb |
| Bd | BBDd | BBdd | BbDd | Bbdd |
| bD | BbDD | BbDd | bbDD | bbDd |
| bd | BbDd | Bbdd | bbDd | bbdd |

განვიხილოთ სქემა:

1. მოკლებალნიანი ნორმალური სიგრძის კიდურების მქონე ბატკნების გენოტიპები იქნება: BBDD, BBDd, BbDd, BbDD
2. მოკლებალნიანი მოკლეკიდურებიანი ინდივიდების გენოტიპებია: bbDD, bbDd.
3. გრძელი ბალანი, ნორმალური კიდურები: BBdd, Bbdd.
4. გრძელი ბალანი, მოკლე კიდურები: bbdd.

ცხრილიდან ჩანს, რომ 16 ინდივიდიდან 12 იქნება მოკლებალნიანი, მათ შორის 9-ს ექნება ნორმალური ზომის კიდურები.

ამოცანის პირობიდან გამომდინარე, შევადგინოთ პროპორცია:

12 მოკლებალნიანს შორის – 9 ნორმალური კიდურებით,
456 მოკლებალნიანს შორის – x

$x = 9 \cdot 456/12 = 342$

პასუხი: მშობლიური ფორმების გენოტიპებია BbDd მოკლებალნიანი ბატკნების რაოდენობაა 456, მათ შორის ნორმალურკიდურებიანია 342. მოკლებალნიანი ინდივიდების გენოტიპებია: BBDD, BBdD, BbdD, BbDD, bbDD, bbdD.

მათ შორის მოკლეკიდურიანების გენოტიპებია: bbDD, bbDd.

გრძელბალნიანი ინდივიდების გენოტიპებია: BBdd, Bbdd, bbdd.

მათ შორის bbdd-ს აქვს ასევე მოკლე კიდურები.

**ამოცანა №4.**

ორი სხვადასხვა წარმოშობის თეთრყვავილიანი ბარდას შეჯვარებით პირველ თაობაში მიიღეს წითელყვავილიანი ჰიბრიდები. ჰიბრიდების შეჯვარების შედეგად მეორე თაობაში მოხდა დათიშვა: 9 წითელყვავილიანი მცენარე: 7 თეთრყვავილიანი. როგორ დამემკვიდრებას აქვს ადგილი? როგორია პირველი და მეორე თაობის ინდივიდთა გენოტიპები?

შევადგინოთ შეჯვარების პირობითი სქემა:

P: თეთრყვავილიანი ბარდა x თეთრყვავილიანი ბარდა

F1: წითელყვავილიანი ჰიბრიდები

F2: 9 წითელყვავილიანი მცენარე : 7 თეთრყვავილიანი მცენარე.

F2 თაობაში მიღებული შეფარდებიდან (9:7) ვასკვნით რომ, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს გენთა კომპლემენტარულ მოქმედებას. გენთა კომპლემენტარობის დროს ორი გენი ერთობლივად განაპირობებს ახალი, მშობლებისგან განსხვავებული ნიშნის წარმოქმნას. არსებობს კომპლემენტარობის სამი ტიპი.

დომინანტური გენები განსხვავდება ფენოტიპური გამოვლინებით. ამ დროს დათიშვაა 9:3:3:1.

დომინანტურ გენებს მსგავსი ფენოტიპური გამოვლინება ახასიათებთ. ამ დროს დათიშვა 9:7 შეესაბამება.

დომინანტურ და რეცესიულ გენებს აქვთ დამოუკიდებლად ფენოტიპური გამოვლინების უნარი.

ამოცანიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს კომპლემენტარობის მეორე ტიპთან. ამრიგად, შთამომავლობაში ყვავილის წითელი შეფერილობა განპირობებულია გენოტიპში A და B დომინანტური გენების არსებობით, რასაც ადასტურებს F1 ჰიბრიდების ყვავილების წითელი შეფერილობა.

გენი A გენი B-ს არარსებობის შემთხვევაში თეთრყვავილიანობას განაპირობებს, ასევე გენი B – გენ A-ს არარსებობისას. შესაბამისად, მშობლიური ფორმების გენოტიპებია: aaBB x AAbb.

P. ♂ aaBB x ♀ AAbb.
F1: AaBb.
თაობაში ვიღებთ:

F2:

| ♂\♀ | AB | Ab | aB | ab |
|---|---|---|---|---|
| AB | AABB | AABb | AaBB | AaBb |
| Ab | AABb | AAbb | AaBb | Aabb |
| aB | AaBB | AaBb | aaBB | aaBb |
| ab | AaBb | Aabb | aaBb | aabb |

AaBb x AaBb

F2 თაობაში ვიღებთ:
წითელყვავილიან მცენარეებს: (9 მცენარე)
4AaBb, 2AABb, 2AaBB, 1AABB

თეთრყვავილიან მცენარეებს: (7 მცენარე)
2aaBb, 2Aabb, 1aaBB, 1AAbb, 1aabb

პასუხი: დამემკვიდრების ტიპია კომპლემენტარობა.

F1 თაობის გენოტიპებია: AaBb.

F2 თაობაში წითელყვავილიანი ინდივიდების გენოტიპებია: AaBb, AABb, AaBB, AABB.

თეთრყვავილიანი ინდივიდების გენოტიპებია:
aaBb, aaBB, Aabb, AAbb, aabb.

***ნატა ბიჭიკაშვილი***
*მეცნიერებათა კანდიდატი, სერტიფიცირებული მასწავლებელი, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი*

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

## ამოცანა 33

$\rho_0$ სიმკვრივის სითხეში ტივტივებს $h$ სიმაღლის და $\rho$ სიმკვრივის ცილინდრული ფორმის სხეული. ვერტიკალური მიმართულებით მცირე გადაადგილებისას ცილინდრი იწყებს რხევას. გავიგოთ ცილინდრის რხევის პერიოდი.

## ამოხსნა:

სხეულის სითხეში ტივტივის პირობის თანახმად: $F_ს=F_ა$, სადაც $F_ს$ სხეულის სიმძიმის ძალაა, $F_ა$ - ამომგდები ძალა. თუ გავითვალისწინებთ, რომ $F_ს=\rho gV$ და $F_ა=\rho_0 gV_1$, მივიღებთ: $\rho gV=\rho_0 gV_1$, სადაც $V$ ცილინდრის მოცულობაა, $V_1$ - წონასწორულ მდგომარეობაში ცილინდრის ჩაძირული ნაწილის მოცულობა. ვიცით, რომ $V=Sh$, და $V_1=Sh_1$, სადაც $S$ ცილინდრის ფუძის ფართობია, $h_1$ - ჩაძირული ნაწილის სიგრძე. ამ სიდიდეების ტივტივის პირობაში ჩასმით მივიღებთ: $\rho gh=\rho_0 gh_1$ (1). წონასწორული მდგომარეობიდან გამოყვანისას მაქსიმალური $x$ გადახრის მდებარეობაში ცილინდრის მოძრაობის განტოლებას ვერტიკალურად ქვევით მიმართულ (იხ. სურათი) ათვლის სისტემაში




შემდეგი სახე ექნება: $mg-F_ა'=ma_x$. აქ $F_ა'$ ვერტიკალურად x სიღრმეზე ჩაძირვისას ამომგდები ძალაა:

$F_ა'=\rho_0 gS(h_1+x)$, $m$ - ცილინდრის მასა, $a_x$ - აჩქარების გეგმილი $x$ ღერძზე ამ მდგომარეობაში. თუ $m$-ის და $F_ა'$-ს ნაცვლად განტოლებაში შევიტანთ შესაბამის სიდიდეებს, მივიღებთ:

$\rho Shg-\rho_0 gS(h_1+x)=\rho Sha_x$, ანუ $\rho gh-\rho_0 g(h_1+x)=\rho ha_x$. (1) ფორმულის გამოყენებით მივიღებთ:

$\rho ha_x=\rho_0 gh_1-\rho_0 gx-\rho_0 gh_1$, ანუ $a_x=-\frac{\rho_0 g}{\rho h}x$ (2).

აქ ნიშანი "-" გვიჩვენებს, რომ აჩქარების გეგმილი მიმართულია ჩაძირვის საწინააღმდეგო მიმართულებით. ცნობილია, რომ ჰარმონიული რხევის განტოლებას აქვს შემდეგი სახე: $a_x=-\omega^2 x$, ამიტომ ამ და მიღებული (2) განტოლების შედარებით მივიღებთ:

$\omega^2=\frac{\rho_0 g}{\rho h}$ საიდანაც $\omega=\sqrt{\frac{\rho_0 g}{\rho h}}$

რადგან $T=2\pi/\omega$, საბოლოოდ მივიღებთ:

$$T=2\pi\sqrt{\frac{\rho h}{\rho_0 g}}.$$

## ამოცანა 34

U-ს მაგვარ მილში ჩასხმულია $l$ სიმაღლის სითხე. მცირე ხნით წნევის ცვლილების გამო დონეები შეცვალა და სითხის სვეტმა რხევა დაიწყო. ვიპოვოთ რხევის ციკლური სიხშირე $\omega$.




## ამოხსნა:

მილის მარჯვენა მუხლში სითხის სვეტის $x$ მანძილზე აწევისას მარცხენა მუხლში სითხე იმავე მანძილზე დაიწევს და ამ მდგომარეობაში დონეებს შორის სხვაობა $2x$ აღმოჩნდება. სითხე რხევით მოძრაობას იწყებს $2x$ სიმაღლის სითხის სვეტის მხრიდან მოქმედი წნევის ძალით: $F=PS=\rho g2xS$, სადაც $S$ არის მილის განივკვეთის ფართობი, $P$ - წნევა, $\rho$ - სითხის სიმკვრივე. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად $ma=-\rho g2xS$ (1). აქ $m$ სითხის მასაა და იგი ტოლია: $m=\rho lS$. ნიშანი "-" გვიჩვენებს, რომ წნევის ძალა მიმართულია სითხის სვეტის კოორდინატის ცვლილების საწინააღმდეგოდ. თუ $m$-ის მნიშვნელობას შევიტანთ (1) განტოლებაში, მივიღებთ: $\rho lSa=-\rho g2xS$, ანუ

$a=\frac{2g}{l}x$ აქედან კი, $\omega=\sqrt{\frac{2g}{l}}$.

## ამოცანა 35

$l$ სიგრძის მსუბუქ ღეროზე მიმაგრებულია მცირე ზომის $m$ მასის ბურთულა. ჩამოკიდების წერტილიდან $2l/3$ მანძილზე ჰორიზონტალურად დამაგრებულია $k$ სიხისტის ზამბარა, რომლის მეორე ბოლო კედელთან მყარადაა დაკავშირებული (იხ. სურ. 1). გავიგოთ სისტემის მცირე რხევების პერიოდი სურათის სიბრტყეში. მექანიკური ენერგიის დანაკარგები უგულებელყოფილია



სურ.1 სურ.2

## ამოხსნა:

პერიოდულად ცვლად ფიზიკურ სიდიდედ ავიღოთ ღეროს ვერტიკალური მდებარეობიდან გადახრის $\alpha$ კუთხე (იხ. სურ.2), რომელიც შეიძლება მცირედ ჩავთვალოთ. ამ კუთხით გადახრისას ბურთულის კინეტიკური ენერგია ტოლია: $E_კ=(mv^2)/2$, ან თუ გავითვალისწინებთ, რომ $v=\omega l=\alpha' l$, მივიღებთ: $E_კ=(ml^2(\alpha')^2)/2$. პოტენციური ენერგიის ნულოვან დონედ მივიჩნიოთ ბურთულის მდებარეობა მისი წონასწორული მდებარეობისას, მაშინ $\alpha$ კუთხით გადახრისას ბურთულის პოტენციური ენერგია აღმოჩნდება:

$E_{პ1}=mg(l-l\cos\alpha)=mgl2\sin^2\frac{\alpha}{2}$. რადგან $\alpha\ll 1$, ამიტომ $E_{პ1}=(mgl\alpha^2)/2$. გარდა ამისა, ამავე გადახრისას ზამბარა შეიკუმშება $x$ სიდიდით:

$$x=\frac{2l}{3}\sin\alpha=\frac{2l\alpha}{3}$$

და ამიტომ მისი პოტენციური ენერგია გახდება:

$E_{პ2}=(kx^2)/2=(2kl^2\alpha^2)/9$. სისტემის სრული მექანიკური ენარგია რხევის პროცესში არ იცვლება, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ, რომ $E_კ+E_{პ1}+E_{პ2}$=const. ან

$$\frac{ml^2(\alpha')^2}{2}+\frac{mgl\alpha^2}{2}+\frac{2kl^2\alpha^2}{9}=const.$$

მიღებული გამოსახულება გავაწარმოოთ დროით:

$$ml^2\alpha'\alpha''+mgl\alpha\alpha'+\frac{4kl^2\alpha\alpha'}{9}=0$$

ან

$$\alpha''=-\left(\frac{g}{l}+\frac{4k}{9m}\right)\alpha$$

ეს კი არის ჰარმონიული რხევის განტოლება, საიდანაც

$$\omega^2=\frac{g}{l}+\frac{4k}{9m},$$

აქედან კი მივიღებთ რხევების პერიოდის შემდეგ მნიშვნელობას:

$$T=2\pi\sqrt{\frac{1}{\frac{g}{l}+\frac{4k}{9m}}}.$$

*შენიშვნა: იგივე შედეგს მივიღებთ, თუ გამოვსახავთ სისტემაზე მოქმედ ძალებს და გამოვიყენებთ ნიუტონის მეორე კანონს.*

## ამოცანა 36

წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწის დიამეტრის გასწვრივ გაჭრილია გვირაბი და მასში ჩააგდეს ქვა. რა დროში აღმოჩნდება ქვა დედამიწის მეორე მხარეს? ჰაერის წინააღმდეგობა და დედამიწის ბრუნვა უგულებელყოფილია. დედამიწის სიმკვრივე მთელ მოცულობაში მუდმივადაა ჩათვლილი, დედამიწის რადიუსი R=6400 კმ-ს.

## ამოხსნა:




X ღერძი მივმართოთ გვირაბის გასწვრივ და კოორდინატთა სათავე მოვათავსოთ დედამიწის ცენტრში (იხ. სურათი). ვთქვათ რაღაც მომენტში ქვის კოორდინატია $x$. წარმოდგენით დავყოთ დედამიწის მთელი მოცულობა თხელ სფერულ ფენებად, რომლის ცენტრი $O$ წერტილშია. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ნებისმიერი ფენა, რომლის რადიუსი $x$-ზე მეტია, ქვაზე არ იმოქმედებს. ამისათვის ავირჩიოთ ქვის ნებისმიერი მდებარეობა (წერტილი A) $x$-რადიუსიან ბირთვზე და მისგან გავავლოთ მცირე გაშლის კუთხის მქონე კონუსები დედამიწის ორ მოპირდაპირე ზედაპირისკენ (იხ. სურათი). მსოფლიო მიზიდულობის კანონის თანახმად $m_1$ მასის მარცხენა ზედაპირული ფენა m მასის ქვაზე იმოქმედებს ძალით:

$F_1=G\frac{m_1 m}{r_1^2}$, $m_2$ მასის მარჯვენა ფენა კი $F_2=G\frac{m_2 m}{r_2^2}$ ძალით,

სადაც $r_1$ და $r_2$ A წერტილიდან მარცხენა და მარჯვენა ფენებამდე მანძილებია. რადგან კონუსების გაშლის კუთხე მცირეა შეიძლება ჩავთვალოთ რომ $m_1=\rho S_1 h$, $m_2=\rho S_2 h$, სადაც $S_1$ და $S_2$ კონუსის ფუძეების (ფენების) ფართობებია, $\rho$ დედამიწის სიმკვრივე, $h$ - ფენის სისქე. ჩავსვათ მასების მნიშვნელობები ძალების ფორმულებში, მივიღებთ:

$F_1=G\frac{\rho S_1 hm}{r_1^2}$ და $F_2=G\frac{\rho S_2 hm}{r_2^2}$.

კონუსის გაშლის სფერული კუთხის განმარტებიდან გამომდინარე $\frac{S_1}{r_1^2}=\frac{S_2}{r_2^2}$ და ამიტომ $F_1=F_2$. ანალოგიურ შედეგს მივიღებთ ყველა დანარჩენი სიმეტრიულად განლაგებული ფენების შემთხვევაშიც. აქედან ვაკეთებთ დასკვნას, რომ ქვაზე მოქმედებს მხოლოდ x-რადიუსიანი ბირთვი ძალით, რომელიც ტოლია:

$F=G\frac{M_1 m}{x^2}=\frac{4}{3}G\pi\rho mx$, სადაც $M_1$ შიდა ბირთვის მასაა და იგი ტოლია: $M_1=\frac{4}{3}\rho\pi x^3$. ვიცით, რომ თავისუფალი ვარდნის აჩქარება დედამიწის ზედაპირზე შემდეგი ფორმულით გამოისახება: $g=G\frac{M}{R^2}$. აქ M - დედამიწის მასაა, R- მისი რადიუსი. მაგრამ $M=\frac{4}{3}\rho\pi R^3$, ამიტომ $g=\frac{4}{3}G\rho\pi R$. ამის გათვალისწინებით მივიღებთ: $F=\frac{mg}{R}x$. ჩავწეროთ ქვის მოძრაობის განტოლება X - ღერძის მიმართ: $ma_x=-F$, რადგან ქვაზე მოქმედი ძალა X ღერძის საპირისპიროდაა მიმართული. ამ განტოლებაში F-ის მნიშვნელობის შეტანით მივიღებთ: $a_x=-\frac{g}{R}x$. მიღებული შედეგი წარმოადგენს ჰარმონიული რხევის განტოლებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვა გვირაბში დაიწყებს რხევას, რომლის ამპლიტუდა დედამიწის რადიუსის ტოლია, პერიოდი კი ასე გამოისახება:

$T=2\pi\sqrt{\frac{R}{g}}$ ამიტომ ქვა დედამიწის საწინააღმდეგო მხარეს მიაღწევს რხევის პერიოდის ნახევრის განმავლობაში: $t=\frac{T}{2}=\pi\sqrt{\frac{R}{g}}\approx$ 2500 წმ ≈42 წთ.

***შესწორება***

*23-ე ამოცანაში ერთერთი ჩვენი აქტიური მკითხველის მიერ აღმოჩენილ იქნა მექანიკური შეცდომა. ამოცანის ამოხსნაში ბოლო ორი ფორმულა ასე უნდა იკითხებოდეს:*

$$Ft-Mgt\cos\alpha=1000mv\sin\alpha$$

საიდანაც

$$F=\frac{Mgt\cos\alpha+1000mv\sin\alpha}{t}$$

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# წინაპართა ფესვებთან დაბრუნება

## რუბრიკის სტუმარია თამრიკო ლორთქიფანიძე, ვარშავის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი



**– თამრიკო, მინდა გვესაუბრო იმ საკითხების შესახებ, რაც საინტერესო იქნება შენი თანატოლებისთვის, მათთვის, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ. სწავლობდი თბილისში, სკოლის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად მიემგზავრები ვარშავაში, კერძოდ ვარშავის უნივერსიტეტში. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, როგორ ირიცხებიან აბიტურიენტები ამ უნივერსიტეტში?**

– პირველ რიგში, მადლობა მინდა მოგახსენოთ ინტერვიუსათვის.

დავიბადე თბილისში. ვსწავლობდი თბილისის 162-ე საჯარო სკოლაში, რომელიც 2010 წელს ოქროს მედალზე დავამთავრე. 2005 წლიდან ვარ პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონიას" წევრი, 2008-2009 სასწავლო წლიდან კი – თბილისის ბავშვთა საკრებულოს. ამასთანავე ვმღერი, 2008 წელს პოლონეთში გამართულ სიმღერის კონკურსში I ადგილი ავიღე და თასი მოვიპოვე. ვარშავის უნივერსიტეტში სწავლა ჩემი უდიდესი ოცნება იყო, მით უმეტეს, რომ პოლონელი წინაპრები მყავდა. დავდიოდი „პოლონიის" მიერ ორგანიზებულ პოლონური ენისა და კულტურის კურსებზე, ვმონაწილეობდი საელჩოსა და „პოლონიის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ერთ-ერთი გახლდათ პოლონურ-ქართული საბავშვო ლიტერატურული ალმანახის გამოცემა. წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების მიზნით, პოლონეთის საელჩოს მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში, არაერთხელ ვარ ნამყოფი პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში. მისაღები გამოცდები ჩავაბარე პოლონეთის საელჩოში. როგორც პოლონური წარმომავლობის მქონემ, მოვიპოვე პოლონეთის მთავრობის 100%-იანი გრანტი და სტიპენდია, რის საფუძველზეც ჩავირიცხე ქალაქ ჟეშუვის უნივერსიტეტის ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, რომელიც ფრიადზე დავასრულე. ვარშავის უნივერსიტეტში ორი გამოცდის წარჩინებით ჩაბარების საფუძველზე ჩავირიცხე.

**– რა შეგიძლია გვიამბო ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიისა და დღევანდელობის შესახებ, რამდენწლიანია სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?**

– ვარშავის უნივერსიტეტი დაარსდა 1816 წელს და, დაარსებისთანავე, ეროვნული თვითშეგნების გულად იქცა. 1830-31 წლის ანტირუსული აჯანყების დროს უნივერსიტეტი ანტიიმპერიული ძალების იატაკქვეშეთის ცენტრს წარმოადგენდა. აჯანყების შემდგომი რეპრესიებისა და 1939-45 წლების ოკუპაციის დროს უნივერსიტეტი არ ფუნქციონირებდა.

ვარშავის უნივერსიტეტი პოლონეთის უმთავრესი, უდიდესი და ყველაზე რეიტინგული უმაღლესი სასწავლებელია, ამასთანავე, მსოფლიოს სახელგანთქმულ და პრესტიჟულ უნივერსიტეტთა ჩამონათვალშია.

ამჟამად, უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვი 65 000-ს აღწევს. სწავლა პოლონეთის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უფასოა, გარკვეული კატეგორიის სტუდენტებს ეძლევათ სტიპენდია, მაგალითად: წარჩინებულ სტუდენტებს – რექტორის სტიპენდია, ხელმოკლე სტუდენტებს – სოციალური სტიპენდია; პოლონური წარმომავლობის მქონე უცხოელ სტუდენტებს – პოლონეთის მთავრობის სტიპენდია.

ხელმოკლე და პოლონური წარმომავლობის მქონე სტუდენტებს სტიპენდია იმ შემთხვევაში ეხსნებათ, თუ რომელიმე გამოცდას დროულად და წარჩინებით ვერ ჩააბარებენ.

**– რა პროფესიას ეუფლები უნივერსიტეტში?**

– ამჟამად გახლავართ ვარშავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კურსის სტუდენტი. ვსწავლობ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას, სამართალს, ეკონომიკას, სოციოლოგიას, ფილოსოფიას. ეს გახლავთ სავალდებულო საგნების მცირე ჩამონათვალი. ასარჩევი დისციპლინებიდან, უპირატესობა მივანიჭე აშშ-ს საგარეო პოლიტიკას, ფრანგულ ენასა და ცურვას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლექციებზე მხოლოდ თეორიები (ხანდახან მომაბეზრებელი) კი არ განიხილება, არამედ იმართება დისკუსიები სხვადასხვა მოვლენებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ვაანალიზებთ თეორიას და ა.შ. ვარშავის უნივერსიტეტი მდიდარია მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით. ჩვენი ერთ-ერთი პროფესორი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას გვიკითხავს, ბატონი რომან კუჟნიარი პოლონეთის პრეზიდენტის ბრონისლავ კომოროვსკის მრჩეველი გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; სამართლის ლექტორი პოლონეთში ცნობილი ადვოკატია; საერთაშორისო ურთიერთობების საწყისებს კი საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გვიკითხავს.

**– რა შეგიძლია გვიამბო ვარშავის უნივერსიტეტის განათლების სისტემაზე, სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ... რამდენადაც ვიცი, მსგავს უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ?**

– პოლონეთის უმაღლესი განათლების სისტემა ბოლონიის საგანმანათლებლო სტანდარტს ეფუძნება და სამწლიანი საბაკალავრო, ორწლიანი სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებისგან შედგება. რაც შეეხება სტუმრებს, ვარშავის უნივერსიტეტს ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაგალითად: ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფონ რასმუსენი, იაგლანდ ტორბიორნი – ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ევროსაბჭოს გენერალური მდივანი.

**– ვარშავის უნივერსიტეტში, თავის დროზე, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა.**

– ვარშავის უნივერსიტეტის მრავალი კურსდამთავრებული ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი მეცნიერი თუ პოლიტიკოსია. მაგალითად: ყველასათვის ცნობილი კომპოზიტორი ფრედერიკ შოპენი, ცნობილი მწერლები – ჰენრიკ სენკევიჩი და ბოლესლავ პრუსი, ცნობილი პუბლიცისტი, ფოტოგრაფი და მოგზაური რიშარდ კაპუშცინსკი, პოლონეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბრონისლავ კომოროვსკი, ძმები კაჩინსკები, ვარშავის მერი, პოლონეთის ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ჰანნა გრონკევიჩ-ვალცი, ვარშავის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის არიან ისრაელის სამი პრემიერ-მინისტრი: დავით ბენ-გურიონი, მენახემ ბეგინი და იცხაკ შამირი.

**– როგორ ცხოვრობენ პოლონელები, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, რომელი დარგია ყველაზე მეტად განვითარებული?**

– ვარშავა დიდი ქალაქია. აქ სიცოცხლე ჩქეფს. ახალგაზრდობისათვის უმნიშვნელოვანესია ოჯახი, სწავლა-განათლების მიღება, კარიერის შექმნა და საზოგადოებაში დამკვიდრება. ვარშავაში მრავლადაა კაფე-ბარები, კლუბები და პაბები, რომელთაც ახალგაზრდობა ხშირად სტუმრობს.

თავისუფალ დროს ან მეგობრებთან ერთად ვატარებ, ან კომპიუტერთან მუშაობას, ინტერნეტს ვუთმობ. ხშირად დავდივართ კლუბებსა და კაფეებში. ძალიან მიყვარს მოგზაურობა.

**– ეწყობა თუ არა უნივერსიტეტში სამოგზაურო ტურები, თუ ასეა, რომელ ქვეყნებში გიწევთ მოგზაურობა და რას აკეთებთ იქ?**

– მოგზაურობების სიხშირე ფაკულტეტზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, პირველკურსელთათვის სამოგზაურო ტურები არ არის. ჩვენი ფაკულტეტი ყოველწლიურად აწყობს ტურნეებს ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნებში. გვაქვს შიდა ტურებიც. ამ პროექტის ფარგლებში, ნამყოფი ვარ კრაკოვსა და ზაკოპანეში. მაგალითად, იაგელონის უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც ქართულ-პოლონური ურთიერთობების საკითხი განიხილებოდა.

**– სწავლის პარალელურად, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა? ზოგიერთ ქვეყანაში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება აქვთ.**

– სიმართლე გითხრათ, ჩემი სტიპენდია მყოფნის და მუშაობაზე, ჯერჯერობით, სერიოზულად არ მიფიქრია.

**– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– ამ თემაზე ჯერ არ მიფიქრია.

*ესაუბრა*
***მაკა ყიფიანი***

ინფორმაცია

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

**გთავაზობთ ინფორმაციას უმაღლესი სასწავლებლების მიერ განხორციელებული ცვლილებების შესახებ:**

2012-2013 სასწავლო წლისათვის **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი** აღარ აცხადებს მიღებას შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ფიზიკური განათლება და სპორტი. მიმართულება – ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი (0100501)
- ფიზიკური განათლება და სპორტი. მიმართულება – გუნდური/ინდივიდუალური სპორტის სახეობების მწვრთნელი (0100502)

**თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის „ჰიპოკრატე"** მიერ გამოცხადებული ორივე პროგრამა (0900101 და 0900201) აკრედიტებულია და ფინანსდება მხოლოდ 100%-ით.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, კონგრესებს, ფორუმებს, სიმპოზიუმებსა და სემინარებს დააფინანსებს. დასაფინანსებელი პროექტები სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგად გამოვლინდება.

კონკურსის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ქართველ მკვლევართა სამეცნიერო შედეგების უცხოელი კოლეგებისათვის გაცნობა და ამ გზით ქართველ მეცნიერთა მსოფლიო პროცესებში ინტეგრაცია.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ აკადემიური ხარისხისა და სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებს, რომელთა ღონისძიება დაგეგმილია 2012 წლის 17 აპრილიდან 30 ნოემბრის ჩათვლით. განაცხადები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე www.rustaveli.org.ge, 27 თებერვლიდან 31 მარტამდე, ელექტრონულად მიიღება. კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ სამეცნიერო ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 30 000 ლარით დააფინანსებს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის სულხან სისაურის განცხადებით, საკონფერენციო გრანტების კონკურსი ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას, ქართველი მეცნიერების ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობის გაღრმავებას.

# СЛОВА ЛЮБВИ, СЛОВА ПРИЗНАНИЯ



*Виолетта Ильинична Гаспаришвили*

Несколько лет назад на страницах газеты «ახალი განათლება» появилась новая рубрика «Память», предложенная заслуженным учителем Грузии В.И. Гаспаришвили.

Долгие годы, почти сорок лет, Виолетта Ильинична проработала инспектором в Министерстве просвещения Грузии, была знакома чуть ли не с каждым учителем русского языка и литературы.

Целая эпоха жизни творческой, интересной, полной восторгов и вдохновения.

В своих статьях Виолетта Ильинична поделилась воспоминаниями о коллегах, рассказала об их работе: о Н. Гамкрелидзе, С. Меликсетовой, С. Нуралове, О. Толоконниковой-Мерквилишвили, В. Мнацакановой, Д. Гачечиладзе, В. Мануковой, Ц. Гущян.

И как же надо быть благодарными ей за то, что она успела вовремя сказать слова любви тем, кто еще жив, кому в старости так нужны добрые воспоминания.

Низкий поклон Вам, Виолетта Ильинична, за Вашу человечность, за широту души.

Хотелось бы, чтобы эту замечательную идею поддержали те, кому есть что сказать молодым учителям.

Сегодня я узнала о том, что Виолетта Ильинична уезжает из Тбилиси, уезжает в Москву, к сыну, теперь уже навсегда.

Болью в сердце отозвалась эта весть.

Понимаю, что воссоединение семьи – жизненная необходимость, но понимаю и то, что нельзя отпустить такого необыкновенного человека, не сказав ей всего, что испытывали все годы, находясь рядом с нею, не сказав, как окружающие дорожили общением с нею, как постигали «мудрость жизни» на её уроках, которые становились явлением в учительской среде.

Дорогая Виолетта Ильинична, примите моё письмо, как запоздалые слова любви от всех, чьи судьбы соприкоснулись с Вашей, кому дали путёвку в жизнь, открыли «зелёную улицу», в ком зажгли огонь желанья сеять «разумное, доброе, вечное». Обычно ярких, выдающихся работников искусства называют звездами, В.И. Гаспаришвили – звезда первой величины на учительском небосводе. И это не комплиментарная фраза. Весь жизненный путь её – подтверждение тому.

Родилась она в семье потомственных интеллигентов. Отец, Илья Григорьевич Кано, – прокурор Закавказского военного округа. Мать, Одинец Раиса Викторовна – учитель-методист.

Единственная дочь Фиала (так называли её родители) получила прекрасное домашнее образование, с детства познала любовь к литературе, музыке, живописи, театру, сама писала стихи. Закончив школу с золотой медалью, поступила в Тбилисский Государственный Университет на филологический факультет, который тоже закончила с «красным дипломом». Её блестящие способности полностью раскрылись в годы учебы в ТГУ. Она была прирожденным лидером, чей талант признавали все с первой же минуты общения с нею.

Затем работа в школе. Вскоре о молодой учительнице, об её интересных уроках и внеклассных мероприятиях заговорили не только в коллективе, но и в городском отделе просвещения.

В 1965 году поступило предложение на службу в Министерство просвещения Грузии. Обычная чиновничья должность – инспектора Минпроса, человек исполняющий и проверяющий.

Но не такова натура Виолетты Ильиничны, натура творца. Она расширила диапазон своих обязанностей: работала над повышением мастерства учителей-словесников, посещала уроки, обобщала передовой опыт, проводила лекции, научно-практические конференции, выездные семинары по районам Грузии, приглашала из Москвы и Санкт-Петербурга ведущих ученых и методистов, представляла на ВДНХ СССР лучших учителей-предметников, проводила олимпиады школьников.

А составленные ею для средней школы программы по русскому языку и литературе с рекомендациями, как и в связи с чем использовать родную грузинскую литературу, произведения мировой классики и смежных видов искусства – еще одно подтверждение уникальных знаний Виолетты Ильиничны.

Такую непосильную ношу выдержишь недолго. А ей все было по плечу. Любимое дело не было в тягость. И так четыре десятка лет.

Сейчас, задумываясь над пройденным ею путем, в поисках ответа на вопрос – почему так усложняла жизнь, выкладывалась сполна, не жалела ни сил, ни здоровья? – могу сказать: «Иначе жить не могла, хорошо чувствовала себя только в рабочей обстановке, только в гуще событий». Как сказал поэт: «Работа – мое вдохновение и отдохновение мое». Щедро раздаривала свои знания, лучшее, что было в ее неуемной натуре. Родине отдала все, что имела: «мускулы, помыслы, чувства, идеи – все, что умела, и все, что могла».

Если замечала что-либо интересное в жизни отдельно взятой школы, Виолетта Ильинична стремилась сделать это достоянием других, поощряла любую искру творчества, инициативы, поиска.

В помощь учителям-русистам В. Гаспаришвили выпустила методические брошюры о Достоевском, Блоке, Грине, книги о Пушкине, Гумилеве, Маяковском.

А составленные ею сценарии по внеклассной работе! Это блестящий синтез художественного слова, музыки, сценического оформления. Каждый сценарий великолепен по-своему. Сколько выдумки, сколько находок, тонких, оригинальных. О таких, как В. Гаспаришвили, говорят: «Талант, сущий талант!».

Вечера... Обычно они проходили в зале нынешнего Дворца молодежи или на профессиональной театральной сцене и собирали не только учителей, но и общественность города. Всем хотелось попасть на них, окунуться в атмосферу высоких чувств и эмоций. Ребята играли так здорово, так захватывающе, с таким упоением, что зрители забывали об их юном возрасте, о том, что это 16-летние мальчики и девочки, а не профессиональные актеры. И планку этой высокой степени воплощения в сценические образы задавала им учительница русской литературы – Виолетта Ильинична Гаспаришвили.

Помню, однажды кто-то обронил фразу: «Да, это Мастер, большой Мастер. В ней умер режиссер». Умер? Нет, не умер, а живет, живет постоянно, воспламеняя сердце ее новыми идеями, новыми поисками.

Бережно храню я сборники с составленными Виолеттой Ильиничной сценариями «Заглянуть в глаза сказке», «На школьной сцене». Они сохранились только у таких «старушек», как я. В настоящее время их можно приобрести только в Москве, где они изданы и радуют наших коллег-соседей.

Особое внимание уделяла Виолетта Ильинична оформлению класса или внеклассного мероприятия. Вот красиво свесившаяся ветка боярышника, вот словно случайно забытая на скамье роза, а еще, казалось бы, небрежно разбросанные осенние листья. Случайно? Это только кажется. Каждая деталь продумана и сливается в единое целостное оформление задуманной композиции и потому производит неизгладимое впечатление. Зрители уходили из зала восхищенные, потрясенные, понимая, что прикоснулись к таланту.

Вся деятельность Виолетты Ильиничны была направлена на то, чтобы раскрыть творческие возможности не только учеников, но и их учителей тоже. Она создавала вокруг себя особую атмосферу высокой духовности и любви к Прекрасному, которое понимала очень широко.

В начале нового века в соавторстве с академиком В.К. Цаава В.И. Гаспаришвили составила новый учебник русского языка для IX класса грузинской школы. В то время, как маститые ученые СССР, ведущие методисты Москвы и Санкт-Петербурга дали учебнику самую высокую оценку, некоторая часть учителей Тбилиси заговорила о «трудностях» этого учебника, что по нему сложно работать в национальной школе. Однако нашлись учителя, которые не побоялись «трудностей» и стали по нему работать. Опыт показал, что на уроках в их классах царил творческий настрой и русское слово звучало сильно и ярко.

Учебник Гаспаришвили и Цаава опередил время новаторским характером, авторы использовали в нем все лучшее, что было в новейшей технологии. Художественный вкус нигде не изменил авторам учебника: его внешнее оформление безупречно, книга получилась праздничной и красивой.

Пройдитесь по книжным магазинам Тбилиси. Учебник этот не найдете. Давно раскуплены оба выпуска. Для многих учителей он стал настольной книгой. Сейчас учебник Гаспаришвили и Цаава издан в Москве и предназначен для национальных школ Российской Федерации. В столице России также издан новый труд Виолетты Ильиничны – сборник «Осень», в котором собраны шедевры, созданные поэтами и писателями и посвященные этой удивительной поре. Я познакомилась с этим сборником в процессе его создания и могу оценить его как колоссальный труд, посильный только его автору с ее «силами необъятными».

Вы когда-нибудь слышали выступление Виолетты Ильиничны? Какая речь! Великолепный знаток языка, она виртуозно владеет им. Каждая фраза уникальна по своей красоте. Каждое слово проникает в самые дальние уголки сердца.

Стиль Виолетты Ильиничны всегда узнаваем четкой подачей материала, умением найти нужное определение, логикой мысли, особенным построением фразы, каким-то внутренним изяществом. Наверное, о таких, как В. Гаспаришвили, поэт Веневитинов сказал: «Блажен, когда судьба вложила в уста великий дар речей, кому она сердца людей волшебной силой покорила».

Чем пленяет личность Виолетты Ильиничны? Она человек неподкупной честности, обладатель энциклопедических знаний, великолепный знаток культуры народов мира, отличный методист, прекрасный оратор. А главное – она большой патриот Грузии, душой болеющий за ее будущее, творящий во имя ее блага, всегда доводящий задуманное до конца.

Правительство республики оценило многогранную деятельность В.И. Гаспаришвили: она отличник просвещения Грузии и СССР, Заслуженный учитель Грузии, обладатель медали «Ветеран труда», золотой призер ВДНХ СССР. О количестве дипломов и грамот говорить не приходится – не сосчитать. Опыт работы В.И. Гаспаришвили освещался на страницах журнала «Литература в школе», всесоюзной и местной прессы.

Виолетта Ильинична обладает удивительной способностью превращать учительские трудовые будни в праздничные встречи профессионалов. И потому люди тянутся к ней, испытывают чувство благодарности, гордятся дружбой с человеком, который, как светлый луч, озарил их сердца и души. У нее мы учились жить, работать, духовно расти, становиться лучше, чем были. И потому за все это огромное СПАСИБО.

Дорогая Виолетта Ильинична! Уезжая из Тбилиси Вы увезете не только наше поклонение и добрые пожелания, но и ностальгию по стране, где прошла почти вся Ваша жизнь.

И пусть Вам снятся прекрасные сны о Грузии: узкие переулки старого Тбилиси, хранящие пряный аромат прошлого, дома с резными балкончиками, древний страж города – крепость Нарикала, ветви цветущего миндаля на склонах Мтацминда, нетлеющие полотна Пиросмани.

Вы навсегда останетесь в сердцах окружающих Светом, Радостью и Знаниями. Все созданное Вами прорастет Добром. И повсюду, где будем мы, Ваши ученики, будут Ваша мудрость, энтузиазм, Ваша жизнь, отданная людям.

Пусть наша любовь и поклонение дарует Вам долгие годы, здоровье, благополучие. Пусть невзгоды обойдут Вас стороной. Пусть божья благодать сопутствует Вам сегодня, в грядущие годы и во все дни Вашей жизни.

***Циала Гущян,***
*заслуженный учитель Грузии*

***P.S. Не скрою, статья далась нелегко. Писала со слезами на глазах. Воспоминания всколыхнули душу до глубины.***

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ინიცირებული პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების წახალისებას გულისხმობს, გრძელდება.

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სპეციალური კვოტებით ისარგებლებენ – ისინი მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდას ჩააბარებენ მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად და სომხურად) და მოსამზადებელ ფაკულტეტებზე ჩაირიცხებიან. ერთი წლის განმავლობაში ეს სტუდენტები ინტენსიურად ქართულ ენას შეისწავლიან და შემდეგ წელს სასურველ ფაკულტეტზე, უკვე უმაღლესი განათლების მისაღებად გააგრძელებენ სწავლას.

მეთორმეტეკლასელი აზერბაიჯანელი და სომეხი მოსწავლეების რეგისტრაციის პროცესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის №64 საჯარო სკოლაში დაესწრო.

პროგრამა გასულ წელს სრულფასოვნად ამოქმედდა და,



მის ფარგლებში, 300-მდე სტუდენტმა მხოლოდ ზოგადი უნარები მშობლიურ ენაზე ჩააბარა. 2011-2012 სასწავლო წლიდან ეს სტუდენტები უკვე აკადემიურ პროგრამებზე სასურველ ფაკულტეტებზე აგრძელებენ სწავლას. 2010 წელს, ამ პროგრამით, მხოლოდ სამმა აბიტურიენტმა ისარგებლა.

ახალი პროგრამის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტები დაფინანსებას ზოგად უნარებში აღებული ქულების მიხედვით იღებენ და ეს დაფინანება აკადემიურ პროგრამებზეც მიჰყვებათ.

უმაღლესი განათლების მიღების წახალისების პროგრამა ერთ-ერთია იმ პროექტებს შორის, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელთა სრულყოფილი განათლებისა და თვითრეალიზების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს. სახელმწიფო ენის ცოდნა და ამ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება ბევრად უმარტივებს არაქართულენოვან მოსახლეობას საკუთარ ქვეყანაში წარმატებული კარიერის შექმნას. ამ ფაქტზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველდღიურად იზრდება მომავალი თაობის ინტერესი დაეუფლონ სახელმწიფო ენას და ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენაზე ჩააბარონ.

## იურისტის კონსულტაცია

**ვალდებულია თუ არა საჯარო სკოლის პედაგოგი სამუშაო საათებში, საგაკვეთილო საათების გარდა, აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში?**

მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს – 36-საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში, საგაკვეთილო საათების გარდა, აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს, საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვ.) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია უფლებამოსილია, მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა, სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

**აუნაზღაურდება თუ არა საჯარო სკოლის პედაგოგს 20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის (21, 22, 23...) ჩატარება?**

20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას (21, 22, 23...)...მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 25 ლარის ოდენობით.

**რა შემთხვევაში მიეცემა საჯარო სკოლის პედაგოგს სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი)?**

მასწავლებელს სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი) მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას და აქვს სრული (18-19-20 საგაკვეთილო საათი კვირაში) ან სრულზე მეტი (21 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში) დატვირთვა.

სერტიფიცირებულ პედაგოგს მიეცემა სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი) იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია სრული დატვირთვისთვის საჭირო საათების რაოდენობაზე, ასევე – თუ სკოლაში არსებული შესაბამისი საგაკვეთილო საათების სერტიფიცირებული პედაგოგისთვის სრულ ოდენობამდე განაწილების შედეგად დარჩა სრულ განაკვეთზე ნაკლები საგაკვეთილო საათი.

**რა შემთხვევაში არ მიეცემა საჯარო სკოლის მასწავლებელს სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი)?**

სერტიფიცირებულ პედაგოგს, რომელიც წერილობით უარს იტყვის სრულ დატვირთვაზე, არ მიეცემა სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი).

**აქვს თუ არა საჯარო სკოლის დირექტორს უფლება, გაათავისუფლოს მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე პედაგოგები?**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქცია ითვალისწინებს მასწავლებელთა სამი ტიპის დატვირთვას: ნაწილობრივს (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში), სრულს (18-19-20 საგაკვეთილო საათი კვირაში) და სრულზე მეტს (21 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში).

ვინაიდან მასწავლებელთა ნაწილობრივი დატვირთვა (18-ზე ნაკლები საგაკვეთილო საათი კვირაში) თავად მინისტრის ბრძანების ინსტრუქციით არის გათვალისწინებული, ამიტომ მცირე საათობრივი დატვირთვის ნიშნით მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება (მაგალითად, მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება იმიტომ, რომ მას აქვს 10 ან 5 საგაკვეთილო საათი კვირაში) ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

**რა შემთხვევაში ევსება საჯარო სკოლის პედაგოგს ხელფასი 1000 ლარამდე?**

პედაგოგს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა და ეძლევა 75-ლარიანი დანამატი, აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, განეკუთვნება შესაბამის მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სასერტიფიკაციო გამოცდის საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, ხელფასი უნდა შეევსოს 1000 ლარამდე.

**რა ვადით უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება საჯარო სკოლის პედაგოგთან?**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, რეკომენდებულია გრძელვადიანი, მინიმუმ 3-5 წლის ვადით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

საჯარო სკოლის პედაგოგებთან მოკლევადიანი (ექვსთვიანი, ერთწლიანი) შრომითი კონტრაქტების გაფორმების ბოლოდროინდელი ტენდენცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების მოთხოვნებს.

**რამდენს შეადგენს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის საფასური?**

სასერტიფიკაციო გამოცდის საფასური, თითოეული ნაწილისთვის (შინაარსობრივი და უნარების ნაწილი) ცალ-ცალკე, შეადგენს 25 ლარს. მასწავლებლისთვის პირველი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების საფასურს ანაზღაურებს სახელმწიფო.

**აქვს თუ არა უფლება საჯარო სკოლის დირექტორს, 2014 წლამდე, სამსახურიდან გაათავისუფლოს პედაგოგი სასერტიფიკაციო გამოცდებზე გაუსვლელობის გამო?**

2014 წლამდე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა ნებაყოფლობითია, 2014 წლიდან კი – ყველა პედაგოგისთვის სავალდებულო.

2014 წლამდე, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გაუსვლელობის ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

*თამარ ავალიანი*
*პედაგოგთა პროფკავშირის იურისტი*

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №23 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ფრანგული ენის კათედრის დამფუძნებელი და გამგე

**ლუბა ნონიკაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

# დაბადების დღე MacMillan–თან ერთად




ტრადიციებით მდიდარი კურსების საჯარო სკოლა (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) მრავალი პროექტის და ღონისძიების მონაწილეა. წლევანდელი სასწავლო წელი კი მართლაც განსაკუთრებულია ჩვენი სკოლისათვის. ნიუ-იორკელი მოხალისე ინგლისური ენის მასწავლებელი **საშა ენოკი**, პროექტით „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ – TLG, ნოემბრიდან უკვე ჩვენს სკოლაშია. კარგად შეეწყო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითაა განმსჭვალული და ინგლისური ენის მასწავლებლებთან ერთად ცდილობს, სწავლება მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართოს. მოსწავლეები ამერიკელ მოხალისე გოგონას ყოველთვის სიხარულით ხვდებიან ინგლისური ენის გაკვეთილზე.

მოგეხსენებათ, 2011 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო გამომცემლობა „მაკმილანს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, სექტემბრიდან, საქართველოში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, ინგლისური ენა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით შეისწავლონ.

კურსების საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ეს სახელმძღვანელო. სკოლაში „მაკმილანის“ ყველა დონის სწავლება მიმდინარეობს. კმაყოფილებას გამოთქვამენ ინგლისური ენის პედაგოგებიც, „მაკმილანის“ მიერ შემუშავებული სპეციალური საკომუნიკაციო კურსის – English World სწავლება მასწავლებლებისთვის ადვილია, ხოლო მოსწავლისათვის – სახალისო. კურსი უზრუნველყოფილია იმ საშუალებებით, რომლებიც სწავლებას წარმატებულს ხდის და, ამავე დროს, ნებისმიერი მოსწავლის საჭიროებას აკმაყოფილებს. მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც კარგად აცნობიერებენ, რომ ინგლისური ენის სწავლება სახელმწიფო პრიორიტეტია.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებში განსაკუთრებულ დიდ ინტერესს იწვევს „მაკმილანის“ სასწავლო მასალები. წელს English World-ის სწავლებას გამოცდილი მასწავლებელი **ნატო აბესაძე** მიუძღვება. ქალბატონი ნატო და საშა ენოკი კარგად თანამშრომლობენ, ინაწილებენ დაგეგმვის, სწავლისა და მოსწავლეთა შეფასების პასუხისმგებლობას, უზიარებენ ერთმანეთს ახალ იდეებს, ინაწილებენ მოვალეობებს საგაკვეთილო პროცესის დროს. ყოველივე ეს ხელს უწყობს ინგლისური ენის ეფექტურ სწავლებას და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. მათ სისტემატური კავშირი აქვთ ქალბატონ ლანა კობახიძესთან (TLG წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში) და ქალბატონ ანა ბერძენაძესთან (კომპანიის English book in Georgia წარმომადგენელი საქართველოში).

ნიუ-იორკელმა მოხალისემ საშა ენოკმა და ნატო მასწავლებელმა გადაწყვიტეს, English World-ის რამდენიმე თავის გავლის შემდეგ, მე-3 კლასში, პირველი პრეზენტაცია – That's English მოეწყოთ. აშშ-სა და საქართველოს ეროვნული ჰიმნების აჟღერების შემდეგ კლასი 3 ჯგუფად გაიყო, მოსწავლეებმა შეასრულეს სახალისო დავალებები, ციფრებით გამოიცნეს ფერები, ბარათებზე მოცემული ნაცნობი სიტყვებით მოძებნეს სურათზე გამოსახული საგნები, გამართეს დიალოგები ერთმანეთთან, მოხალისე მასწავლებელთან ერთად. ყველა წარმოდგენას თან ახლდა სათანადო შინაარსის სიმღერა, რომლებიც უხვადაა სახელმძღვანელოში, ზოგი ნატო მასწავლებელმა სხვა ინგლისურენოვან გამოცემებში მოიძია.

პრეზენტაცია დაამშვენა ნაცნობმა და საყვარელმა მელოდიამ Happy birthday to you. მესამეკლასელ **ნიკა აბესაძეს** 9 თებერვალს 9 წელი შეუსრულდა და, როგორც საქართველოში ამბობენ, „ოქროს დაბადების დღის“ აღსანიშნავად, მშობლებმა ნიკას სპეციალურად მორთული ტორტი მოუმზადეს. ამ დღის სამახსოვროდ ნიკას, საიუბილეოდ გადაღებულ სურათთან ერთად, გადაეცა My English Porfolio. იდეის ავტორები მოხალისე საშა და ნატო მასწავლებელი არიან. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები და მშობლები.

მინდა შემდგომი წარმატებები და სიხარული ვუსურვო ჩემს მოსწავლეებს და მათ ინგლისური ენის მასწავლებელს, ნატო აბესაძეს ამერიკელ მოხალისესთან ერთად.

*თინათინ გიორგაძე*
*მე-3 კლასის ხელმძღვანელი,*
*კურსების საჯარო სკოლა,*
*ტყიბულის რაიონი*

# მისაბაძი მაგალითი დამწყები პედაგოგებისთვის

წლები გარბის, ისე ჩქარა გარბის, ვერც ეწევი... თითქოს გუშინ იყო, სრულიად ახალგაზრდამ რომ შეაბიჯა კასპის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში, შეაბიჯა და იქ უდიდესი სითბო მიიტანა, მტირალ პატარებს მიეფერა, მიესიყვარულა, ზღაპარი წაუკითხა და „იავნანა“ უმღერა.

თბილი ადამიანი დედასავით შეიყვარეს აღსაზრდელებმა, იმდენად გაითავისეს, რომ ბაგაში მოსვლისთანავე ზოგი კალთაში უჯდებოდა, ზოგი ხელში აყვანას სთხოვდა და გარეთ გასეირნებას... იზო მასწავლებელი ყველასთვის იცლიდა...

მის ბევრ აღსაზრდელს გამოუჩენია თავი სკოლაში კარგი სწავლითა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებით.

განსაკუთრებული სითბოთი იხსენიებს ახლანდელ ჯგუფს, რომელთაც ორი თვეა დასცილდა და თითოეულს ასე ახასიათებს: **ანი ბერიანიძე** – ლამაზი, ჭკვიანი, გონიერი; **თენგო კიტრიაშვილი** – დიდი კაცი; **თამარ ბერიანიძე** – ჭკვიანი, თამამი; **გიორგი ყარაშვილი** – უკარება; **სალომე ნიპარიშვილი** – ბებიაზე მლოცველი; **დათა დავითური** – უკვე შეყვარებული; **ნიკა მერებაშვილი** – ცელქი, ცქმუნა; **ირაკლი არჩვაძე** – ნებიერი; **ლუკა მერებაშვილი** – თვალმახარა; **ალეკო პოპოვი** – დამჯერი, კეთილშობილი; **ნიკა მამალაძე** – ფიქრიანი, მეოცნებე; **თედო შოთნიაშვილი** – მოუსვენარი, ენერგიული; **მიშა ჟივიძე** – თავის ამხანაგებზე „ასაკოვანი“; **ლიზი მიდელაშვილი** – იზო მასწავლებელზე შეყვარებულ; **ლიზი ოთარაშვილი** – ენატიკტიკა.

**იზო დემეტრაშვილი-ბახუაშვილისათვის**, როგორც შესანიშნავი აღმზრდელისათვის, ბევრი მადლობა უთქვამს ხელმძღვანელობას, მაგრამ განსაკუთრებით ახარებს მშობელთა მადლობა.

**ბელა ხიზანიშვილი**, მშობელი – იზო მასწავლებელი არის თბილი, კეთილი ქალი, სამართლიანი, მოსიყვარულე ადამიანი, რომელსაც შეუძლია, საკუთარი შვილივით მოუაროს და აღზარდოს თითოეული პატარა. იგი ამ ნიჭით დაჯილდოებულია და აღსაზრდელებიც გრძნობენ მის სითბოს, მის მფარველობას, ღმერთმა ამრავლოს ასეთი ადამიანები, რომლებიც ბავშობიდანვე უნერგავენ პატარებს კაცთა სიყვარულს.

**ქეთევან თაყაიძე**, გამგე – იზო დემეტრაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო აღმზრდელია, მასზე არცერთი საყვედური და გაფრთხილება არ დაწერილა, დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. მისაბაძი მაგალითი იყო ყველა დამწყები პედაგოგისათვის.

**ნინო ჟივიძე**, მშობელი – სიყვარულია ამ ქალბატონის პირველი თვისება, სიყვარული და სიკეთე, სულიერი სილამაზე და ეს ჩაუნერგა კიდეც ჩვენს მომავალ თაობებს მან, სწორედ ამ სიყვარულმა უნდა ასაზრდოოს ჩვენი ქვეყანა და მისი უპირველესი გმირი – ადამიანი.

იზო მასწავლებელმა 43 წელი გაატარა ბაგა-ბაღის კედლებში. ორი თვეა, რაც დასცილდა აღსაზრდელებს, ადგილი დაუთმო ახალგაზრდებს. სიყვარულით გააცილეს პატარებმა, ლექსებით, სიმღერებით და სარვამარტო მილოცვით. მათთვის ხომ იზო მასწავლებელი ისევ გაზაფხულივით მშვენიერი, თავანკარა, კეკლუცი და ახალგაზრდაა.

ქალბატონი იზო ფიქრობს, დაწეროს და აკინძოს სცენარები, რომელთაც იყენებდა პატარების სულიერი სამყაროს გასამდიდრებლად და სახსოვრად გადასცეს №1 ბაგა-ბაღს.

*მანანა ყაჯანაშვილი*

# შენგელია საუკეთესოდ დაასახელეს

ბელგიური „შარლერუას“ ქართველი ლეგიონერი **თორნიკე შენგელია**, რომელიც ახლახან 20 წლის გახდა, ქომაგებმა ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელად დაასახელეს, ფიბა-ევროპის გამოკითხვაში კი ათეულში მეექვსე ნომრად შევიდა. ქართველი კალათბურთელი პირველად მოხვდა ამ ნომინაციაში. ფიბა-ევროპის გამოკითხვაში, ქომაგებთან ერთად, სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ. მათი ხმები შეჯამდა, ოღონდ მწვრთნელების ხმებს მეტი უპირატესობა ენიჭებოდა. ამ გამოკითხვაში ლიტველმა **იონას ვალანჩიუნასმა** გაიმარჯვა, მეორეზე „რეალის“ ხორვატი მეფარე **ნიკოლა მიროტიჩი** გავიდა, მესამეზე – თურქი **ენეს კანტერი**. სამაგიეროდ, ქომაგებმა ერთნიშნად შენგელია გამოარჩიეს, რომელმაც მეორეზე გასულ ვალანჩიუნასზე, ლამის, ორჯერ მეტი ხმა მიიღო (არადა, ვალანჩიუნასი ის კაცია, ვინც ლიტვას მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა მოაგებინა), მესამე ადგილი კი მიროტიჩს ერგო.

შენგელიას ახალგაზრდულ ნაკრებში ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევია, რადგან ჩვენებურთა წინაშე ბევრად მოკრძალებული ამოცანა იდგა – ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება. ჩვენებმა ეს შეძლეს, შენგელიას კარგი თამაშის დამსახურებით საქართველოს ნაკრებმა B ჯგუფის თამაშები მოიგო. მაშინ ის ტურნირის საუკეთესო კალათბურთელადაც დაასახელეს – საშუალოდ 29.9 ქულას, 12 მოხსნას და 2.6 პასს აგროვებდა.

ეს შეჯიბრება ივლისში ჩატარდა, აგვისტოში კი შენგელია ეროვნულ ნაკრებს შეუერთდა, მასთან ერთად ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლაში ძალიან დიდი წვლილიც შეიტანა – კლაიპედასა და ვილნიუსში გამართულ შეხვედრებში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. ერთ-ერთმა რუსულმა გამოცემამ ჩემპიონატის აღმოჩენადაც დაასახელა.

ლიტვაში შესანიშნავი თამაშის გამო „შარლერუამ“ სასწრაფოდ დაიბრუნა განათხოვრებული შენგელია და ძირითად ხუთეულშიც გაამწესა. არც ჩვენებურმა გაუწბილა იმედი – ვიდრე ჯანმრთელად იყო, ბელგიის ჩემპიონატშიც მშვენივრად ირჯებოდა და ევროლიგაზეც, სადაც „რეალისა“ და ებრაული „მაქაბის“ დარ გუნდებთანაც ტოლსწორად თამაშობდა. იმ პერიოდში გუნდი ბელგიაშიც დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ 19 თებერვალს ტერფის ტრავმა მიიღო. კალათბურთელი იმედოვნებს, რომ თვის ბოლოს თამაშს შეძლებს. ბელგიელმა ექიმებმა ტრავმის მიზეზად გადამეტებული დატვირთვა დაასახელეს. სხვათა შორის, ანალოგიური მიზეზი კლუბის კიდევ ორ წევრს დაუდგინეს, ახლა კი ყველა მოუთმენლად ელოდება ქართველის დაბრუნებას, რადგან მის არყოფნაში გუნდმა ლიდერობა დათმო.




# მოჭადრაკეთა რჩეულები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაძაბულად წარიმართა საქართველოს ჩემპიონატი 18 წლამდე მოჭადრაკეთა შორის, რომელსაც ევროპის პირველობის მონაწილეებიც უნდა გამოევლინა. გოგონებს შორის, ბოლო ტურის წინ, გამარჯვების შანსს ორი მონაწილე ინარჩუნებდა – **ნატო იმნაძე** და **ანა შამათავა** ჯგუფს იმდენად მოსწყდნენ, მათი დამწევი არავინ იყო. ბოლო ტურში საკუთარი შანსი შამათავამ უკეთ გამოიყენა – **მარიამ ჯავახიშვილი** დაამარცხა და 8.5 ქულა დააგროვა. ამ დროს იმნაძემ ყაიმით დაასრულა პარტია **ადა კაკუტიასთან** და ნახევარი ქულით ჩამორჩა კონკურენტს. ამდენად, ოქროს მედალი და ევროპის ჩემპიონატის საგზური შამათავამ მიიღო, მესამეზე კი მარიამ ჭოლაძე გავიდა – ბოლო ტურში **ანა კუჭავას** დაუზავდა და 6.5 ქულა დააგროვა.

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა ვაჟების პირველობა, სადაც ბოლო ტურის წინ გამარჯვების პრეტენზიას ერთბაშად სამი მოჭადრაკე აცხადებდა, თუმცა ფინალში ორი მათგანი დამარცხდა. შანსი მხოლოდ **შალვა ნადირაშვილმა** გამოიყენა, რომელმაც **გუგა ბურდულს** მოუგო და 9 ქულით ჩემპიონიც გახდა. დაწინაურებული სამეულის სხვა წევრებიდან **ირაკლი ბერაძე კახაბერ წერეთელთან** დამარცხდა, **გიორგი სიბაშვილი** – **ნიკოლოზ ქუმსიაშვილთან**. შედეგად, მედლებიც მათ გადაულოცეს, პრიზიორებმა ერთნაირი შედეგით დაასრულეს ტურნირი – 6.5-6.5 ქულით. უკეთესი კოეფიციენტით ვერცხლი ქუმსიაშვილს ერგო. ვაჟებში, ევროპასთან ერთად, მსოფლიოს პირველობის საგზურიც თამაშდებოდა, რომელიც გამარჯვებულ ნადირაშვილს ერგო, ევროპაზე კი ქუმსიაშვილი გამოვა.

# გაბი ხვედელიძე – „მის ვალენტინი“

„ვალენტინის დღესთან“ დაკავშირებით, ესტონურ ტარტუში ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც წარმატებით გამოვიდა ქართველი სპორტსმენი **გაბრიელა (გაბი) ხვედელიძე** და „მის ვალენტინიც“ გახდა. პირად პირველობაში **ლიზა ბაქრაძეც** გამოდიოდა, ჯგუფურ ვარჯიშში **სალომე ბურდილაძემ, მედეა გათენაძემ, ლიანა ცეცაძემ, ნაზი** და **ქეთი ასიტაშვილებმა** ბურთით, ლენტით და რგოლით ასპარეზობებში ვერცხლის მედლები ირგუნეს. ტურნირში 24 ქვეყნის მოზარდები გამოდიოდნენ და, დიდი კონკურენციის გამო, მათთან პაექრობა იოლი არ იყო. ამდენად, გაბი ხვედელიძის მიღწევა მით უფრო დასაფასებელია.

ესტონეთში წასვლამდე ჩვენები ბაქოს ღია პირველობაშიც მონაწილეობდნენ. ორივე ტურნირი, 1-3 ივნისს, ნიჟნი ნოვგოროდში გასამართი ევროპის ახალგაზრდული პირველობისთვის მზადებას ისახავს მიზნად.



# ვინ მიხედავს ახალგაზრდებს?



ფინურ ვირუმაეკში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან ტყვიის სროლაში, სადაც ჩვენი ახალგაზრდები უმედლოდ კი დარჩნენ, მაგრამ საყურადღებო შედეგები აჩვენეს. იქ გოგონების გუნდი სრული შემადგენლობით გამოდიოდა – ქუთაისელი **ნინო ფანჩულიძე**, თბილისელი **მარიამ ბლუაშვილი,** ასევე დედაქალაქელი **ანა გაგილაძე**. ამ ტრიოს ყველაზე ახალგაზრდა და, შესაბამისად, გამოუცდელი წევრიც 16 წლის ბლუაშვილია, რომელიც ერთი წელიწადია, რაც ამ სახეობაში ვარჯიშობს, ხოლო უცხოეთში პირველად გავიდა. თუმცა რაღა უცხოეთი, მას დიდი სატურნირო პრაქტიკა არც შიდა შეჯიბრებებში აქვს, უფულობის გამო მსგავსი ტურნირები ძალზე იშვიათად ტარდება. ამის მიუხედავად, სრულიად მოულოდნელად, ფინეთში ბლუაშვილმა მშვენიერი შედეგით გაგვაკვირვა – 373 ქულა დააგროვა, რაც ხშირად უფროსებისთვისაც კი მიუწვდომელია. შედარებისთვის – იმავე შეჯიბრებაზე ქალებში ჩვენმა ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **ნინო სალუქვაძემ** 380 ქულა დააგროვა, **ნინო უჩაძემ** – 375. რაც მთავარია, ბლუაშვილი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე უმატებს შედეგებს – იანვარში თბილისში გამოვიდა ტურნირზე, მერე გერმანიაში ორჯერ იასპარეზა საერთაშორისო შეჯიბრებაზე, იქიდან კი ფინეთში გადავიდა და ყველა ტურნირზე საგრძნობლად გაზარდა შედეგები! იმედია, პროგრესს გააგრძელებს და ეროვნულ ნაკრებს საიმედო სპორტსმენი შეემატება. მისი მაჩვენებელი იმის წინაპირობაა, რომ ამ სახეობაში გუნდურში ყოველთვის გვექნება მედლის მოპოვების შანსი. პირადში სალუქვაძე ყოველთვის ფავორიტია, მაგრამ ვინაიდან სხვა მსროლელი, პრაქტიკულად, არც გვყავს, გუნდურში ჩათვლას ვერ ვიღებდით (გუნდში სამი მონაწილე უნდა იყოს), ახლა კი ახალგაზრდების მაჩვენებლები გვაძლევს იმედს, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდება.

ფინეთში გუნდის ლიდერად ნინო ფანჩულიძე მოიაზრებოდა, რომელმაც შარშან უკეთესი შედეგი აჩვენა – მსოფლიო პირველობაზე, 377 ქულით, შესარჩევში მეხუთე იყო, ფინალის შემდეგ კი, ერთი ადგილით უკან დაიწია და, საბოლოოდ, მეექვსეზე დარჩა. შემდეგ მან სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა, რაც დიდი დარტყმა აღმოჩნდა სპორტისთვის – სავარჯიშოდ ველარ იცლიდა და შედეგებიც გააუარესა. ესეც მორიგი მაგალითია იმის, რომ საქართველოში სტუდენტი სპორტსმენებისთვის არ არის მოქნილი სისტემა. ვფიქრობთ, ამაზე სპორტისა და განათლების სამინისტროებმა ერთობლივად უნდა იზრუნონ, მანამდე კი ფედერაციამ უმაღლეს სასწავლებელთან საერთო ენის გამონახვა სცადა, შემხვედრი ნაბიჯი რექტორატისგანაც გადაიდგა და მოქნილი სავარჯიშო გრაფიკის გარკვეული გეგმაც შეიმუშავეს.

სხვათა შორის, ზეხისტი კანონმდებლობით, ასევე უგულებელყოფილია არმიაში გაწვეულ სპორტსმენთა მდგომარეობაც. აქაც ბევრი სამუშაოა შესაბამის სამინისტროებს შორის. გვესმის, რომ პროფესიული სრულყოფაც აუცილებელია და სამხედრო სამსახურიც, მაგრამ სპორტული ნიჭის გაფლანგვაც საცოდაობაა.

დასასრულს, ტყვიის მსროლელთა კიდევ ერთ გადაუჭრელ პრობლემაზეც უნდა ვთქვათ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არ აქვთ სპორტული ბაზა. დახურული დარბაზის პრობლემა ასე თუ ისე მოხსნილია – ძირითად ბაზად სალუქვაძის ტირი იქცა (თუმცა, იქ სპორტული პისტოლეტიდან სავარჯიშოდ არასათანადო პირობებია), რასაც სპორტკომპლექს „არენაში“ არსებული დარბაზიც ემატება, მაგრამ მთელ ქვეყანაში არ არსებობს ღია სასროლეთი. არადა, უცხოეთში შეჯიბრებები, ძირითადად, ასეთ სასროლეთზე იმართება, დარბაზიდან იქ გასვლა კი სულ სხვა ატმოსფეროა. არაფერს ვამბობთ ელექტროფარებზე, რაც ფინალური სროლებისთვის აუცილებელია და რასაც ასევე სერიოზული ადაპტაცია სჭირდება. როცა ქვეყანაში სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ამდენი თანხა იხარჯება, არაერთი შეპირების მიუხედავად, რატომ ვერ მოხერხდა მსროლელთათვის ერთი თანამედროვე ბაზის მოწყობა? სომხეთმა თუ ეს 10 წლის წინ შეძლო, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? არადა, ნიჭიერი თაობა რომ მოდის და მათ ევროპა-მსოფლიოზე მედლების მოპოვება შეუძლიათ (ჩვენებს ხომ ბევრად უფრო დაბალი შედეგებით ევროპაზე გუნდურში ვერცხლ-ბრინჯაო უკვე აქვთ მოპოვებული), ამაზე ზევითაც ვისაუბრეთ.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

# ცხრაწყაროდან თბილისამდე

ერთხელ, ოვანეს თუმანიანს ქართველ მწერლებთან პურობისას უთქვამს: „საქართველოში ყოველი ქართველი პოეტია, ყოველი ქართველი პოეტი კი ორგზის პოეტი“. დიდი სომეხი მწერლის ნათქვამს თუ ვირწმუნებთ, მაშინ, ქალბატონი, ვის შესახებაც ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ, ჭეშმარიტად ორგზის პოეტია.

**მარინე ნებიერიძე** იმერეთის ულამაზეს სოფელ ცხრაწყაროში დაიბადა და გაიზარდა, იქ, სადაც ვარინკა წერეთელმა უკვდავ ჰანგად ააჟღერა აკაკის „სულიკო“, რომელსაც არა მარტო ჩვენთან, უცხოეთშიც კი მღერიან.

ქალბატონი მარინე ორი წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა. დაობლებული გოგონას აღზრდა დედის მშობლებმა იკისრეს და ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად წიგნის კითხვაც შეაყვარეს. ბებიას ქუთაისის გიმნაზია, ბაბუას კი სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ალბათ, ამიტომაც ჯერ კიდევ მცირეწლოვანმა ზეპირად იცოდა სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები. განგებამ პოეტური ბუნების პატარას იმთავითვე დაანათლა ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის ხილვის უნარი და ლექსის წერა სკოლის ასაკიდან დააწყებინა, თუმცა მათი გამოქვეყნება მხოლოდ მოწიფულობის ხანაში გაბედა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისს გამოემგზავრა, უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. სამწუხაროდ, პირველ წელს არ გაუმართლა, მაგრამ დრო უქმად არ დაუკარგავს და გულმოდგინედ შეუდგა მომავალი წლისათვის მზადებას. არსებობის სახსარზეც უნდა ეზრუნა და იძულებული გახდა, სამსახურის ძებნა დაეწყო. ჯერ განათლების სამმართველოში დაიწყო მუშაობა, მერე – კურორტოლოგიის ინსტიტუტში, პარალელურად სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა „წითელი დიპლომით“ და ამ დიპლომით კვლავ შეაღო უნივერსიტეტის კარი, ამჯერად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. ერთი სავალდებულო საგნის – გეოგრაფიის „ფრიადზე“ ჩაბარების შემდეგ, უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იმ დღიდან მოყოლებული, რამდენიმე ათეული წელი მის კედლებში გაატარა, როგორც ასპირანტმა, პედაგოგმა, გეოგრაფია-გეოლოგიის, შემდეგ ფსიქოლოგიის კათედრის მდივანმა. უფრო ადრე კი დანიშნეს უნივერსიტეტის „ბავშვთა განყოფილების“ გამგედ და „ბავშვთა აღზრდის მეთოდიკის“ სპეციალობის დასაუფლებლად ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტში მიავლინეს.

გარდა უნივერსიტეტისა, წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში და სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში.

1972 წლიდან იგი უნივერსიტეტის ქალთა საკრებულოს მდივანია და ნამდვილი მემატიანე ამ ორგანიზაციის საქმიანობისა.

1975 წლიდან სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი პუბლიკაციები თბილისში გამომავალ პრესაში. დღემდე აქტიურად თანამშრომლობს სრულიად საქართველოს გაზეთ „რაეოში“.

ქალბატონი მარინე ხუთი წიგნის ავტორია, აქედან ორი პოეტური კრებულის.

პირველი – „მე გაზაფხულის მოსვლას შევხარი“ 1998 წელს გამოაქვეყნა, მეორე – „მზე სულში აფრქვევდა სხივებს“ 2005 წელს.

პოეტის ცხოვრება სულ დალხინებული არ იყო, „მწარე სამსალაც“ იგემა, მაგრამ სასოწარკვეთას არ მისცემია, უიმედოდ არ ჩაუქნევია ხელი, არ გაბოროტებულა, საკუთარ ტკივილზე არავისთან დაუჩივლია და სათნოებით, სიკეთით და სიყვარულით სავსე მუდამ სხვათა გამკითხავი და ჭირისუფალი იყო. ასეა დღესაც.

„ჩემი ცხოვრების დარჩენილ გზაზე
დარდი თუ კვლავაც წამომეწია,
მე გადამარჩენს ყოველგვარ ტანჯვას,
ეს სიყვარული და პოეზია“.

ქალბატონი მარინეს ლირიკაში მთავარი მოტივი, მისი არსებობის აზრი და საყრდენი სიყვარულია: სიყვარული სამშობლოსადმი, წარსულისადმი, ადამიანებისადმი, ბუნებისადმი და, რაც მთავარია, მომავლისადმი. მან არაერთი ლექსი უძღვნა ახალგაზრდებს, შვილებს, შვილიშვილებს, ხვალინდელ ადამიანებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ სიცოცხლე და მამულის პატრონობა.

„შენი ტიკტიკი მანიჭებს ძალას,
სითბოს შესადარს მზის,
ბებოს იმედი, აღფრთოვანება,
აზრი ხვალინდელ დღის,
ცისკრის უზადო ამობრწყინება,
გამონათება მზის“.

ქალბატონი მარინე ადრე დაოჯახდა. სამწუხაროდ, პირველი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა, მოგვიანებით კი ბედმა სულის თანაზიარს, ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს, ნამდვილ მეგობარს, თავის დროზე ცნობილ მსახიობს შოთა ნარსიას შეახვედრა. ბედნიერებით გასხივოსნებული ეს შეხვედრა მხოლოდ რამდენიმე წელს გაგრძელდა, ბატონი შოთას ნაადრევმა გარდაცვალებამ დააშორა ისინი ერთმანეთს და ქალბატონ მარინეს კვლავ მარტოს მოუხდა ცხოვრების აღმართებსა და დაღმართებზე სიარული.

დღეს იგი დიდი და ლამაზი ოჯახის ბურჯი და დედაბოძია, შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით გამრავლებული, სითბოთი და სიყვარულით გარემოცული. აქტიურ ცხოვრებას შეჩვეული, დღესაც ოპტიმიზმით და უკეთესი მომავლის რწმენით აგრძელებს საზოგადოებრივ საქმიანობას, კიდევ ბევრი ოცნება აქვს შესასრულებელი და რაკი ოცნება პოეზიის უშრეტი წყაროა, მჯერა, მრავალი ახალი ლექსით გაგვახარებს, გვაზიარებს იმ ღვთაებრივ სამყაროს, რომელიც სინათლითა და სიყვარულით იქნება სავსე.

ერთ ბოლოდროინდელ ლექსში ქალბატონი მარინე ამგვარ სურვილს ამჟღავნებს:

„თუ წუთისოფლის ორომტრიალში
ბედი სიცოცხლეს გამიქილიკებს,
ქენით სიკეთე და გამაყოლეთ
მშობლიურ სოფლის გზებს და ბილიკებს.
ნუ დამამადლით, ისე, უბრალოდ
დალიეთ ჩემი შესანდობარი,
სთქვით: სიცოცხლეში არ გაუმართლა,
მსუბუქი ჰქონდეს სამოთხის კარი“.

შესანდობარის შესმამდე ძალიან ადრეა. ჯერ მრავალჯერ უნდა ესტუმროს მშობლიური სოფლის გზებსაც და ბილიკებსაც, მრავალჯერ უნდა მოეფეროს ბალახში ჩაკარგულ მინდვრის ყვავილებს, მორაკრაკე ნაკადულს, მზით გაჩახჩახებულ ბაღებს, გვიანი შემოდგომით გაძარცულ ხეზე შერჩენილ ერთადერთ ფოთოლს თუ თოვლით გადაპენტილ სოფელს... ხოლო, დიდიხნის მერე, როცა დადგება ჟამი წასვლისა, პირნათელი, სამაგალითო დედა, ბებია, ულალატო მეგობარი, საქართველოსა და პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი, დიახაც, მსუბუქად შეაღებს სამოთხის კარს. მანამდე კი, შთამომავლებთან ერთად, დაე, დიდხანს იაროს სათაყვანებელ ქართულ მიწაზე და როგორც პოეტი იტყოდა:

„იარონ!
იარონ!
იარონ!“

*თინათინ ელბაქიძე*

**სამოქალაქო განათლება**

# თვითმმართველობიდან მოსწავლეთა ევროპულ გაერთიანებამდე

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია განათლების რეფორმის მრავალ მიმართულებათა შორის, რადგან სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება, რაც მომავალი თაობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საფუძველი იქნება.

ამ პროგრამის ფარგლებში, შარშან 4 დამხმარე სახელმძღვანელო შეიქმნა სამოქალაქო განათლების სწავლებისათვის. მათი დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ მოსწავლეებმა ამ სფეროში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა, მონაწილეობა მიიღონ სკოლისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში. ამ მიზნით შეიქმნა თავის დროზე სკოლის თვითმმართველობები, სასკოლო კლუბები, ცალკე საგნად ისწავლება „სამოქალაქო განათლება“. თუ მიღწეულით ვიმეჯელებთ ჩანს, ამ სფეროში გადალახულია რაღაც ეტაპი, რაც ქართველ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს ითანამშრომლონ თავიანთ თანატოლებთან საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ამ სიახლის შესახებ გვესაუბრებიან ი. ვეკუას სახელობის №42 საჯარო სკოლის დირექტორი **ალუდა გოგლიჩიძე** (ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი); ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ალიანსის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **სულხან ჩარგეიშვილი** და საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე **მაკა ბიბილეიშვილი**.

**ალუდა გოგლიჩიძე**: დავიწყებ იმით, რომ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა ნამდვილად კარგი და წარმატებული პროგრამაა და იცით რატომ? ჩემი ღრმა რწმენით, სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის და არც სააღმზრდელოა იმ გაგებით, როგორც ჯერ კიდევ გვესმის. ერთადერთი გაგება და დატვირთვა, რაც ამ სიტყვას უნდა ჰქონდეს, არის სამოქალაქო აღზრდა, დანარჩენი (ტრადიციული ე.წ. ღონისძიებები) არ ვიცი, დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს სკოლას, იდეოლოგიზებული არც სკოლა უნდა იყოს და არც საზოგადოება. აქ მხოლოდ ინდივიდუალიზმია მაქსიმალურად წახალისებული, პატივს ვცემთ პიროვნულ თავისუფლებას. ეს პრინციპები რომ ცხოვრების წესად იქცეს და რეალიზებული იყოს, ამას აღზრდა სჭირდება – სამოქალაქო განათლების გარეშე კი, ბუნებრივია, ეს არ მოხდება, ანუ ინსტრუქციებით აქამდე ვერ მივალთ. გვჭირდება კარგი პროგრამები, წიგნები, მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, კარგი სასწავლო პროცესი, მონიტორინგი, კარგი შეფასება და წახალისება.

მოგეხსენებათ, ამ პროგრამის ფარგლებში გამოცემული ერთ-ერთი დამხმარე სახელმძღვანელოს – „მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში“ – ავტორი ვარ. წიგნზე მუშაობისას ფინეთსა და ესტონეთში გახლდით. სწორედ ესტონელი კოლეგებისგან შევიტყვე მოსწავლეთა გაერთიანების ევროპული ალიანსის შესახებ, რომელიც 28 ქვეყანას აერთიანებს. მაშინვე ვაცნობე ჩემი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას და დაუყოვნებლივ გაჩნდა ინტერესი, რომ ჩვენი ქვეყანაც შეერთებოდა ამ დიდ ევროპულ გაერთიანებას. ამ მიმართულებით მოვლენების განვითარების შესახებ სულხანი გიამბობთ, იგი სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარე იყო და მართალი გითხრათ, მე არც ვარ დეტალურად საქმის კურსში. ბავშვები დამოუკიდებლადაც უნდა აგვარებდნენ მსგავს საკითხებს, ჩვენ მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარებაში ვეხმარებით მათ. ჩემი გადასახედიდან ყველაზე მთავარი და საინტერესო ისაა, რომ საქართველო ხდება ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი მოსწავლეების დონეზე.

ჩვენს სკოლას სერიოზული გამოცდილება აქვს თვითმმართველობის, კლუბების მუშაობის, მცირე პროექტების განხორციელების კუთხით. ალიანსში გაერთიანებით ქართველი მოსწავლეები უკვე საერთაშორისო ასპარეზზე წარადგენენ თავიანთ პროექტებს ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე და მოგვარების პროცესიც მათი თანადგომით წარიმართება. როცა აღზრდაზე ვსაუბრობთ, ჩემთვის სწორედ ეს მიდგომაა ყველაზე მისაღები. მე გამოკვეთილად საპროექტო აზროვნების მომხრე და მხარდამჭერი ვარ. მოსწავლეობიდან უნდა შეეძლოს ადამიანს, განსაზღვროს პრობლემები, საჭიროებები, სწორად გაანაწილოს რესურსები, აირჩიოს განხორციელების მეთოდები, ჩამოაყალიბოს შეფასების სისტემა, დაგეგმოს ბუიჯეტი. აი, ეს არის საპროექტო აზროვნების სრული ციკლი, რის უნარიც სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს. ჩვენ გვჭირდება თაობა, რომელიც ასე და ამ მიმართულებით იაზროვნებს და არა ინფანტილურად და ფრაგმენტულად. ამის რესურსი აქვთ ბავშვებს. ეს ჩემი სკოლის (და არა მარტო ჩემი სკოლის) მაგალითზე შემიძლია ვთქვა – მეშვიდეკლასელებიც კი არაჩვეულებრივ პროექტებს წერენ. ის ოთხი სახელმძღვანელოც, რომელზეც ვისაუბრეთ, სწორედ ამ კონტექსტში, საუკეთესო რესურსია, რადგან რადიკალურად მიმართულია პრაქტიკულ შედეგებზე, უნარ-ჩვევებზე, საპროექტო აზროვნების განვითარებაზე. თითოეული წიგნის 40-40 ეგზემპლარი უკვე დაურიგდა 740 სკოლას და როგორც პილოტირებამ აჩვენა ასეთი საქმიანობა მოსწონთ მოსწავლეებს.

რაც შეეხება მოსწავლეთა ალიანსის შექმნას, ჩვენი მორალური პასუხისმგებლობა იყო მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მიგვეწოდებინა საქართველოს სკოლებისათვის, რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ყოფილიყო საქმის კურსში. დანარჩენი უკვე მათი გადასაწყვეტია. აქ არ არის გეგმა-ვალდებულება, რომ ამდენი და ამდენი ბავშვი ჩაერთოს ამ გაერთიანებაში, ეს ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს. ჩვენ მოვახდინეთ საკითხის პროვოცირება, რომლის შესახებაც გვინდა იცოდეს, რაც შეიძლება მეტმა სკოლამ და მოსწავლემ, რასაც მოჰყვა კიდეც დიდი დაინტერესება, შემდეგ – კონტაქტები და გაწევრიანებამდე მისვლა.

**სულხან ჩარგეიშვილი**: ბატონმა ალუდამ ესტონეთიდან მოგვწერა მოსწავლეთა გაერთიანების შესახებ. ჩვენ მაშინვე ავიტაცეთ იდეა და მივწერეთ ესტონელ თანატოლებს, გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება, ჩვენ მიერ ჩატარებული აქტივობები, რითაც, როგორც ჩანს, დაინტერესდნენ, ვისაუბრეთ თანამშრომლობაზეც. სწორედ მათ გვითხრეს, რომ უკვე 25-30 წელია არსებობს ევროპული მასშტაბის ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მოსწავლეთა ასეთ მცირე გაერთიანებებს. ჩვენ თავადაც გვქონდა სურვილი, საქართველოში მსგავსი სტრუქტურული გაერთიანება შეგვექმნა და ეს ინფორმაცია საკმარისი იყო იმისთვის, რომ იდეის განხორციელებას შევდგომოდით. თავდაპირველად მეუბნებოდნენ, რომ ამ საკითხით ცოტა მოსწავლე თუ დაინტერესდებოდა. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოში დამარწმუნა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ივლისში, ბაზალეთზე მოწყობილმა შეკრებამ, სადაც 180 მოსწავლე ჩამოვიდა მთელი საქართველოდან. როცა საკუთარი საქმიანობის შესახებ გვიამბეს, მივხვდით, რომ ბავშვები მართლაც ხედავენ თავიანთ გარშემო პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც სურთ. საჭირო იყო ბიძგი, თანადგომა და ისინი მზად იყვნენ ამ იდეების განსახორციელებლად. ეს პროგრამა ყოველთვიურად აფინანსებს მცირებიუჯეტიან პროექტებს და კარგი საშუალებაცაა საქმის საკეთებლად (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვთა ერთთვიანი აქტივობები, სასკოლო ბიბლიოთეკის ჭერის შეკეთება და სხვ.) გარდა იმისა, რომ ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ქართული ალიანსის შესაქმნელად, პარალელურად გვქონდა კონტაქტი ევროპული ქვეყნების მოსწავლეთა გაერთიანებასთან, რომელიც ფინანსდება ევროსაბჭოს და ევროკომისიის გრანტებით და ძალიან კარგ აქტივობებს ახორციელებს ყოველწლიურად. როგორც წესი, თავიანთ თავყრილობებზე ისინი მხოლოდ წევრ ქვეყნებს იწვევენ ხოლმე, მაგრამ რაკი ჩვენ თავად გამოვიჩინეთ მათდამი ინტერესი და თანამშრომლობის სურვილიც გამოვთქვით, საზაფხულო ბანაკში დაგვპატიჟეს, რომელიც საფრანგეთში, ქალაქ ამიენსში მოეწყო და მიეძღვნა ადამიანის უფლებებსა და განათლების ხელმისაწვდომობას, ჩემთან ერთად ჩვენივე სკოლის მოსწავლე, საინიციატივო ჯგუფის წევრი **გუბაზ კობერიძეც** მონაწილეობდა. გარდა იმისა, რომ ორივე საკითხის ირგვლივ ბევრი ახალი და საჭირო ინფორმაცია მივიღეთ, გავეცანით ამ ორგანიზაციის სტრუქტურას, როგორ მუშაობენ მსგავსი ორგანიზაციები, რა ტიპის აქტივობებს ახორციელებენ, ვის აერთიანებენ – ცალკეულ მოსწავლეებს თუ სკოლებს. მიღებული გამოცდილებიდან საბოლოოდ მივხვდით, რომ ნამდვილად საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიც არსებობდეს მსგავსი ორგანიზაცია, რადგან ასეთი სტრუქტურა საუკეთესო პრაქტიკული გზაა სამოქალაქო ცნობიერების აღზრდისა და განვითარებისათვის. თუ ბავშვი აქტიურია და მოწადინებული, საქმე აკეთოს, ასეთი

## სამოქალაქო განათლება

გაერთიანება საუკეთესო ხელშემწყობი პირობაა ამისათვის.

შემდეგი ნაბიჯი – ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო, არაკომერციული ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელმაც ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო განვითარების ფონდის დაფინანსებით, „ქორთიარდ მერიოტში“ მოაწყო კონფერენცია თემაზე „მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“. ძალიან დიდი იყო მასში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ 40 გაერთიანების მიღების საშუალება გვქონდა, აპლიკანტთა რიცხვმა 150-ს გადააჭარბა. კონფერენციაზე გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები და პრობლემები, შესაბამისად ჩვენც გამოვკვეთეთ, რა უნდა ყოფილიყო ჩვენი ალიანსის მიზნები, ამოცანები და მისია.

ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი, რომ აქ გადაწყვეტილებას ერთი ადამიანი არ იღებს. სტრუქტურა ისეთია, რომ გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ახმოვანებს და აღასრულებს სამდივნო, სადაც მუშაობს სრულწლოვანი, რომელსაც გარე, მესამე პირებთან ურთიერთობის უფლება აქვს. ამ პროცესში ბატონი ალუდა და ქალბატონი მაკა მხოლოდ მრჩევლები, კონსულტანტები არიან, თემატიკის არჩევასა და გადაწყვეტილებების მიღებაში სრული თავისუფლება გვაქვს. მოსწავლეთა თვალით დანახული პრობლემების მოგვარებაში რაც შეიძლება მეტი ბავშვის ჩართვაა სასურველი, რადგან წლების შემდეგ, როცა ისინი უნივერსიტეტებს დაამთავრებენ და წარმატებულები გახდებიან, მათთვის ახლობელი იქნება, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა სატკივარი, საჭიროებები და დახმარების ხელსაც ადვილად და შეგნებულად გაუწვდიან. საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება ბევრად ეფექტურს გახდის ჩვენს საქმიანობას. ახლახან, გალში მომხდარი ინციდენტის შესახებ ვაცნობეთ OBESSU-ს, რომელიც თავის ყოველწლიურ ანგარიშს აწოდებს ევროკომისიის საგანმანათლებლო კომიტეტს და ევროსაბჭოს ახალგაზრდულ კომიტეტს, ამ ფაქტს ჩვენი მხრიდანაც მიეცემა საერთაშორისო ჟღერადობა. როგორც ხედავთ ზოგადად, ეს საერთშაორისო პროცესებში ჩართვის კარგი საშუალებაა. იგი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო აქტივობებს. ესაა: კონფერენცია, სასწავლო სესია, საზაფხულო სკოლა, მოსწავლეთა კონგრესი. როცა გავხდებით ამ ევროპული გაერთიანების წევრი (ეს ალბათ 2-3 თვეში მოხდება) უფლება გვექნება, ჩვენი ქვეყნის სახელით, თითოეულ ფორუმზე, საქართველოს მოსწავლეთა გაერთიანებამ, 2 ან 3 წარმომადგენელი გაგზავნოს. ეს საუკეთესო შანსია ქა-



ალიანსის მიერ ჩატარებული კონფერენცია თემაზე „მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“; ნოემბერი, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“, თბილისი




ევროსაბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის პროგრამა ENTER, საერთაშორისო ახალგაზრდული კონგრესი თემაზე „სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ყველა ახალგაზრდისათვის“, სტრასბურგი, საფრანგეთი; მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის თავმჯდომარე და მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ანტონია ვულფი

ტიური მოსწავლისათვის, რომელსაც აქვს მოტივაცია რაღაც აკეთოს, გაეცნოს ევროპულ გამოცდილებას. მათი მიდგომები საქმისადმი, ფორმითაც და შინაარსითაც, განსხვავდება ჩვენგან. ამიტომაცაა ეს ურთიერთობები საინტერესო, ამიტომაც ვსწავლობთ ერთმანეთისგან ბევრ რამეს. OBESSU ახლა ამზადებს სასწავლო სესიას ინკლუზიურ განათლებაზე და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ არ ვართ ალიანსის წევრი, 42-ე სკოლის ორი მოსწავლე, საინიციატივო ჯგუფის წევრები – **ნინო მელიქიძე** და **მარიამ ელიაშვილი** მიიღებენ მონაწილეობას სესიის მუშაობაში.

**მაკა ბიბილეიშვილი**, პროგრამების კოორდინატორი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს, რომელიც ამ საგანს ასწავლის, სათანადო გამოცდილება ჰქონდეს ამ მიმართულებით მუშაობის და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორისთვის უნდა იყოს მოსწავლეთა სამოქალაქო აღზრდა ძალიან სერიოზული ამოცანა. მე სწორედ იმ ნიშნით მომიწვია ბატონმა ალუდამ სკოლაში, რომ დიდი გამოცდილება მაქვს ამ სფეროში მუშაობის. 2009 წლიდან ვარ 42-ე სკოლაში. სულხანი სწორედ ის თაობაა, რომელთანაც დავიწყე პირველად მუშაობა. დღესაც ბევრი სკოლაა საქართველოში, რომელთაც არასწორად ესმით (ან არ ანიჭებენ სათანადო მნიშვნელობას) სასკოლო თვითმმართველობების დანიშნულება. მოსვლის დღიდანვე ჩემი მიზანი იყო, ხელი შემეწყო სკოლის თვითმმართველობის მუშაობისთვის. ყველა კლასში არიან აქტიური მოსწავლეები, რომლებსაც აინტერესებთ საქმის კეთება, მათ თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდებათ. შევქმენით კლუბები, ისწავლეს პროექტების წერა, რომელთაც სკოლის ბიუჯეტი აფინანსებს. ძალიან კარგი პროგრამაა, მრავალმხრივი, გრანტებსაც გასცემს 450 დოლარის ოდენობით. ჩვენ მოვიგეთ კიდეც ორჯერ ეს გრანტი. ახლა, ამ პროგრამის ფარგლებში კონკურსშიც ვმონაწილეობთ, რომელიც წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგს, სასკოლო თვითმმართველობებს, კლუბებს გამოავლენს. გარდა იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში ბევრი საინტერესო აქტივობის განხორციელება შეიძლება, უცხოეთში სწავლის მსურველებს აუცილებლად გამოადგებათ მასში მონაწილეობა, რადგან იქ ითხოვენ მსგავს გამოცდილებას. ახლა პირად საქმეში შედის ეს ინფორმაცია. ჩვენმა სკოლამ გაცილებით ადრე მიმართა ამ მეთოდს და შემოვიღეთ ბარათები, სადაც აღრიცხულია, თუ რა აქტივობებში მიუღია მონაწილეობა მოსწავლეს ამა თუ იმ კლასში. ჩვენ იმ დოზის გამოცდილება დაგვიგროვდა სამოქალაქო განათლების კუთხით, რომ სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია სურვილი, გავცდენოდით სკოლის ფარგლებს და გვეკეთებინა პროექტები ქალაქისა თუ რეგიონის მასშტაბით, რამდენიმე სკოლასთან ერთად. ასევე ლოგიკური იყო საერთაშორისო ალიანსთან კონტაქტის სურვილი და ის ძალისხმევა, რაც ჩვენმა მოსწავლეებმა გამოიჩინეს სათავო ოფისთან (ბელგია) ურთიერთობით. ეს იყო მათი მუდმივი ინფორმირება ჩვენ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, რასაც მოჰყვა კიდეც დაინტერესება და ძალიან მიხარია, რომ ეტაპები, რომელიც წევრობისთვისაა საჭირო, გავიარეთ და სულ რამდენიმე თვეში საქართველოს მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსი, რომელიც ქართველ მოსწავლეთა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა და მოსწავლეების უფლებების დასაცავად იზრუნებს, ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების წევრი ორგანიზაცია გახდება. ეს ძალიან სერიოზული მოვლენაა ჩვენი ქვეყნისათვის, რაც, პირველ რიგში, თავად მოსწავლეების აქტივობით განხორციელდება; მე მხოლოდ საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვარ და მათთვის გამოცდილების გაზიარება, საჭიროების შემთხვევაში, რჩევის მიცემა შემიძლია, დანარჩენ საქმიანობაში ისინი თავისუფლები არიან და ყველა საჭირო აქტივობებსაც თავად ახორციელებენ.

*მოამზადა*
***ანა ფირცხალაიშვილმა***






ევროპის სკოლის მოსწავლეთა საორგანიზაციო ბიუროს მიერ ჩატარებული მეორე საერთაშორისო საზაფხულო სკოლა განათლების ხელმისაწვდომობის თემაზე, ამიენსი, საფრანგეთი, 2011, ალიანსის წარმომადგენლები – სულხან ჩარგეიშვილი და გუბაზ კობერიძე

**P.S.** საქართველოს მოსწავლეთა ალიანსში გაერთიანების მსურველ მოსწავლეებს ვთხოვთ, შემოვიდნენ ჩვენს საიტზე: WWW.GSSUA.GE, გაიარონ რეგისტრაცია და თავიანთი მცირე გაერთიანებები გახადონ ჩვენი წევრები. გაწევრიანების ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 10 მარტი.




ალიანსის კამპანია „ხელი-ხელს“, 3 დეკემბერი 2011 წელი; კამპანიის მიზანი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების პრობლემების შესახებ მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება



ევროსაბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის პროგრამა ENTER, საერთაშორისო ახალგაზრდული კონგრესი თემაზე „სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა ყველა ახალგაზრდისათვის“, სტრასბურგი, საფრანგეთი; ალიანსის მხრიდან ესწრებოდნენ: სულხან ჩარგეიშვილი, ნოდარ წერეთელი და დელეგაციის ხელმძღვანელი, ალიანსის საკონსულტაციო საბჭოს წევრი მაკა ბიბილეიშვილი

# ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

**მითითებულია თითო ტომის ფასი**

## გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

**გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად**




საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

**პირველად საქართველოში!**

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

## მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შემოგვიერთდით!










მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

**„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“**

ერთი ტომი – 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები** ახალი
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა** ახალი
- მაინ რიდი - **კვარტერონი** ახალი

**„რა არის რა“** ერთი ტომი – 11 ლარი




ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K